რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 22 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 43 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 43

თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობა უღრმესი მწუხარებით აუწყებს სასურსათო და რევოლიუციონურ ორგანიზაციების გამგეობის წევრის

გიორგი ვასილის ძე დალაქიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 19 თებერვალს ქ. კავკავში სამსახურით გამოწვეულ მოვალეობის ასრულების დროს. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სასურსათო სამინისტროს საქმეთა კომისარი უღრმესი მწუხარებით აუწყებს სასურსათო და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს თფ. გუბერნიის სასურსათო გამგეობის წევრის

გიორგი ვასილის ძე დალაქიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 19 თებერვალს, ქ. კავკავში სამსახურით გამოწვეულ მოვალეობის ასრულების დროს. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობის მოსამსახურენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გამგეობის წევრის

გიორგი ვასილის ძე დალაქიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 19 თებერვალს ქ. კავკავში, სამსახურით გამოწვეულ მოვალეობის ასრულების დროს. პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ქ. ალექსანდროპოლის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაცია უღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს მუშათა კლასის დაუღალავ მებრძოლის ამხ.

ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 14 თებერვალს ს. მოლამუსას ახლო ალექსანდროპოლის რაიონში. დაკრძალვა მოხდება 22 თებერვალს ქ. ალექსანდროპოლში. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან დღის 12 საათზე. (2—2)

ქ. ალექსანდროპოლის რკინის-გზის მუშათა წითელი გვარდია უღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობთ, ძვირფასი ამხანაგის

ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (2—2)

ქ. ალექსანდროპოლის მუშ. ჯარის.-კ. და გლეხთა საბჭოების განსაკუთრებული კომისია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ძვირფასი ამხანაგ—თავმჯდომარის

ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (2—2)

ბათუმის რკინის-გზის აღმასრულებელი კომიტეტი უღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ამხ. წევრის

ნოე მგალობლიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 11 თებერვალს. ცხედარი წასვენებულ იქმნა სამშობლო სოფელში,—სოფ. ერკეთში (გურია).

თფილისის „ვოდოპროვოდის“ განყოფილების მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს მუშათა კლასის დაუღალავ მებრძოლის ს.-დ. პარტიის მუშათა საბჭოს, და თფ. ქალაქის მოსამსახურეების აღმასრულებელ კომიტეტის წევრის

არშაკ ნიკიტის ძე ნალბანდოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 22 თებერვალს გამოსვენება დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან მოლნიხის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებული ბიძა გიორგი ზაქარიას ძე შაიშმელაშვილი თავის მეუღლით მარიამით და შვილებით ალექსანდრე და შაქროთი აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ალექსანდრე ვასილის ძე შაიშმელაშვილის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ 22 თებერვალს სიღნაღის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა კი მოხდება სოფელ ნუკრიანის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თაოსნობით

დღეს, 22 თებერვალს, შუადღის 12 ს., ახალი კლუბის დარბაზში გაიმართება

კრება-მიტინგი

დღის წესრიგი: „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მობილიზ. საკითხი“.

ამიერ-კავკასიის მთლიანობა

ამიერ-კავკასიის მთლიანობას განსაცდელი მოელის. ბოლშევიკების საზავო პირობების მიხედვით ჩვენი კუთხის ისტორიული, ეკონომიური და საზოგადოებრივი კავშირი ირღვევა. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში დიდი სახელმწიფოები ერთიანდებიან, საშუალო ევროპის კავშირს ადგენენ და ამ გზით უნდათ თავიანთი მომავალი ეკონომიური განვითარება მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ, ჩვენში ისედაც პატარა და ჩამორჩენილ ქვეყანაში დიდ მნიშვნელოვანი ადგილები, ეკონომიური და სტრატეგიული ოლქები ოსმალეთის ხელში გადადის.

ამიერ-კავკასიის განვითარებისათვის ბაქო-ბათუმი მთავარი რგოლია, რომელზედაც აკინძულია მთელი ჩვენი არსებობა. ბაქოს ბათუმიდან გამოყოფა და შავ ზღვისა და კასპიის ზღვას შორის მიმოსვლის შეწყვეტა, სხვადასხვა სახელმწიფოების ხელში გადასვლა მთელი ამიერ-კავკასიის დაქცევა იქნება და ჩვენს წარმატებაზე ფიქრიც კი მეტი დარჩება. დიდი ხანია ისტორიის არქივს ჩაბარდა ის დრო, როცა აღმოსავლეთი და დასავლეთი ამიერ-კავკასია ერთი მეორის დამოუკიდებელ ცხოვრებას აწარმოებდა და მათ შორის თანამედროვე შრომის განაწილებას, ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლას ადგილი არ ქონდა.

დღეს ბურჟუაზიულ წარმოების ურთიერთობაში, კაპიტალისტურ საქონლის წარმოების ხანაში ამიერ კავკასიის მცხოვრებნი მჭიდროთ გადაებნენ, მათ შორის ეკონომიური და საზოგადოებრივი კავშირი განმტკიცდა და ამ კავშირის ხელოვნურათ გაწყვეტა მთელი მხარის მცხოვრებთა დაქვეითება იქნებოდა.

ასეთ მთლიანობაშია დაინტერესებული ამიერ კავკასიის ყველა ერები, განურჩევლათ რწმენისა და მოდგმისა. მაგრამ, რუსეთის ბოლშევიკების მეოხებით, ეს მეტათ სამწუხარო მოვლენა ფაქტათ გადაიქცა. ამიერიდან ოსმალეთის იმპერიალისტებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ხელი ამიერ კავკასიისაკენ გამოიშვირონ და ბრესტში დადებული პირობა სისრულეში მოიყვანონ. ოსმალეთის მთავრობას იურიდიული და ზნეობრივი უფლება ეძლევა ბათუმი, ყარსის და არდაგანის ოლქები დაიკავოს და ეს დიდმნიშვნელოვანი ადგილები თავის პროვინციათ გამოაცხადოს.

ახლა ჩვენ იძულებული ვხდებით ბრესტში დადებული ხელშეკრულება, როგორც რუსეთის ნაწილმა ვაღიაროთ, ან-და თავი დამოუკიდებლათ გამოვაცხადოთ და ამ გზით ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკების მიერ დადებული ხელშეკრულება არ მივიღოთ. პირველი ოსმალეთისათვისაა ხელსაყრელი, ხოლო მეორე კი ამიერ კავკასიის მცხოვრებთათვის. ამ სახით ბოლშევიკების სამარცხვინო საგარეო პოლიტიკამ იძულებული გაგვხადა უკანასკნელ გზას დავადგეთ და საკუთარ ძალ-ღონით ვეცადოთ მთელი ჩვენი კუთხის უზრუნველყოფლობას. აქ გარეშე ძალა დახმარებას ვერ გაგვიწევს. მაშასადამე, ძალა ადგილობრივათ, ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა შორის უნდა ვეძიოთ და ამ ძალების შეკავშირება-შეგნებაში უნდა ვპოვოთ.

ჩვენ გადაჭრილათ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსმალეთის საფრთხე ჯერ-ჯერობით კარზე არ მოგვდგომია; ახლო მომავალშიაც კი არ შეუძლიათ მათ ჯარებით ჩვენს საზღვრებში შემოიჭრან და ბრესტში მიცემული ადგილები ფაქტიურათ დაიკავონ. დასუსტებული ოსმალეთი ახლო მომავალში აქ ვერ მოვა. **ჩვენ ოსმალეთის საფრთხე შეიძლება შიგნიდან მოგვევლინოს** ანუ სწორეთ, რომ ვსთქვათ, ამიერ-კავკასიის იმ ერიდან, რომლის ნაწილი ოსმალეთის ორიენტაციისა და ოსმალეთთან დაკავშირებას ცდილობს. ან რა გასაკვირველია, რომ ეს ასე იყოს. ჩვენ და სომხები თუ რუსეთის ორიენტაციის მომხრენი ვიყავით და დღემდისაც ასეთები დავრჩით, რა გასაკვირველია, თუ ამ ჟამათ, როცა საერთაშორისო ურთიერთობა შეიცვალა ადგილობრივი თათრების ერთი ნაწილი ოსმალეთისაკენ იცქირებოდეს და აქეთ იყოს მათი სულისკვეთება. ამისთვის რუსეთის ძველმა მთავრობამ საკმაოთ გააბოროტა ეს ხალხი თავისი უმგვანო მოქმედებით. დღეს, როცა მათ საშუალება მიეცათ, თამამათ შეუძლიანთ თავიანთი სურვილები განახორციელონ და ოსმალეთის მომხრეებათ თავი გამოაცხადონ. მაშინ ამიერ-კავკასიის მთლიანობა, მისი ხანგრძლივი ისტორიული კავშირი ფაქტიურათ დაირღვევა. უკანასკნელ გარემოებას ზედ მოყვება ამიერკავკასიაში სხვადასხვა ერთა შეხლა-შემოხლა, ერთა შორის ჟლეტა-ხოცვა, რაიც მეტათ სამწუხარო შედეგებს გამოიღებს. სწორეთ ასეთ კრიტიკულ მომენტში ამიერ-კავკასიის დემოკრატია მოვალეა თათრების დემოკრატიული მასსა მთლიანობისაკენ მოუწოდოს; სწორეთ ამიერ-კავკასიის დემოკრატია დაინტერესებულია მთლიანობა დაიცვას და მით რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება, მთავარი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები ცხოვრებაში გაატაროს.

დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ მიწის, ზავის და სხვა საკითხები ოსმალეთთან დაკავშირებით არ გადაწყდება. პირიქით, მას ისიც კი წაერთმევა, რაც ჰქონდა და აზიის დესპოტის ხელში ჩავარდება. აქ გამოსავალი ერთია: ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ ნეიტრალურ სახელმწიფოთ უნდა გამოვაცხადოთ და ამ იდეის გარშემო შემოკრბეს ამიერ-კავკასიის ყველა ერის დემოკრატია. ხსნა ჩვენს გაერთიანებაშია.

აი საით უნდა იქნას ჩვენი ყურადღება მიქცეული და საით უნდა მოუწოდოთ ხალხს.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა

ეს კითხვა სეიმის დღევანდელ სხდომის წეს-რიგშია დასმული.

ის თითონ ცხოვრებამ წამოაყენა. ჯერ კიდევ გასულ წლის ოქტომბერში დაისვა ის, როცა პეტროგრადში მთავრობას უპასუხისმგებლო პირები მოექცენ სათავეში. ჩვენ ვერ ვიტყოდით, რომ ლენინის მთავრობის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა იყო საჭირო, რადგან ბოლშევიკებს პროლეტარიატის მოზრდილი ნაწილი მიჰყვებოდა და მათი ამ გზით დამარცხება რევოლიუციის დასამარებათ მიგვაჩნდა; მაგრამ ვერც ბოლშევიკურ ავანტიურას დავუჭერდით მხარს და ამიტომ ჯერ კიდევ ნოემბერში ვიყავით იძულებული ადგილობრივი მთავრობა შეგვედგინა.

მას შემდეგ სულ იმის ცდაში ვართ, რომ დანგრეულ დემოკრატიულ ფრონტის აღდგენას ხელი შევუწყოთ. ამიტომ უარვყავით ჩვენ ოსმალეთის წინადადება დამოუკიდებლათ შეგვეკრა ზავი, წინადადება, რომელიც ჯერ კიდევ დეკემბერში მივიღეთ. წინ დამფუძნებელი კრება გვედო. ეს კრება, როგორც იქნა, შესდგა იანვრის ხუთს, მაგრამ ის იმავ დღეს გარეკა პეტროგრადის მთავრობამ.

ამ რიგათ ჩვენ განცალკევებული დავრჩით. უკანასკნელმა ამბებმა ცხადჰყო, თუ რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ბოლშევიკურ მთავრობისაგან. მას ჩვენდა დაუკითხავად განუზრახავს ამიერ-კავკასიის სხეულის ორათ გაჭრა და თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ გერმანია-ოსმალეთს ბათუმს, ყარსს და არდაგანს პირდება.

ამ ცნობამ ყველანი ფეხზე დააყენა. როგორც უკვე იციან მკითხველებმა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა საგანგებო თათბირი გამართეს და ერთხმათ დაადგინეს, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობის დაცვა აუცილებელია. ამისთვის კი თითქმის ერთსულოვნათ გადასწყვიტეს არ შეჩერდენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადების წინაშეც, უკეთუ ეს საჭირო გახდება.

ამ გვარათ დღეს სეიმმა საბოლოოთ უნდა გადასწყვიტოს ეს კითხვა.

არის თუ არა საჭირო ეს განცალკევება და დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსება?

აქ მტრებში და მოკეთეებშიც გაისმის უკმაყოფილების ხმა. თავდაპირველათ გვითითებენ ჩვენს პარტიულ პროგრამაზე და სოციალიზმის თვალთახედვით სურთ ჩვენი ნაბიჯის გამტყუნება.

მაგრამ რა შუაშია აქ პროგრამა, რა მოსატანია სოციალ-დემოკრატობა? ჩვენი პროგრამა აშკარათ გულისხმობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ის ნებას აძლევს ყველა ერს საკუთარს გემოვნებაზე მოაწყოს თავისი საქმეები. პროგრამით, ერი უნდა ადგა წავა, უნდა დადგა, უნდა რომელიმე მეზობელს შეუკავშირდება, უნდა სულ ცალკე დამოუკიდებლათ მოეწყობა.

მაშასადამე, საქმე ისაა, რომ გარემოების მიხედვით ისე ვიმოქმედოთ, როგორც ეს მშრომელ ხალხის ინტერესებისთვის არის გამოსადეგი და სასარგებლო.

რას გვირჩევენ ამისთვის ჩვენი მოწინააღმდეგენი? ისინი ცნობენ ამიერ კავკასიის მთლიანობის აუცილებლობას, საჭიროთ თვლიან ბათუმ-ყარს-არდაგანის შესანარჩუნათ ბრძოლას, მაგრამ ამავე დროს გვირჩევენ რუსეთის მთავრობასთან ერთათ დარჩენას.

ეს დიდი ულოღიკობაა. ან ჩვენ ვცნობთ ბოლშევიკების მიერ შეკრულ ზავს და ამიერ კავკასიას ოსმალეთს ვუთმობთ, ან ამ ზავს არ ვცნობთ და ოსმალეთის შემოსვლას ვებრძვით. როგორ შეიძლება, რომ პეტროგრადის მთავრობა ვიცნოთ, ხოლო მის დადგენილებას ვებრძოლოთ.

გვეუბნებიან, რუსეთის დემოკრატიასთან კავშირი უნდა აღვადგინოთო. თუ ეს ცარიელი სიტყვები არ არის, ჩვენ უნდა გადავლახოთ დონი, უნდა დავამარცხოთ ყაზახები და შემდეგ ბოლშევიკური მთავრობა ჩამოვაგდოთ. ამავე დროს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ოსმალეთს, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობის ზავის პირობებზე ეყრდნობა და ბათუმ-ყარს-არდაგანს თავის საკუთრებათ აღიარებს. მაგრამ ეს ხომ ავანტიურაა. როგორ შეგვიძლია ჩვენ დემოკრატიული ფრონტის აღდგენა, ე. ი. ბრძოლა ერთის მხრით რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობასთან, ხოლო მეორე მხრით ოსმალეთთან.

ამიტომ ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადება, ჩვენი სურვილით ნაკარნახევი ზომა როდია, ის ბუნებრივათ გამომდინარეობს არსებულ მდგომარეობიდან, რეალურ ძალთა განწყობილებისაგან.

ვისაც რევოლიუციის და დემოკრატიის ბედი აინტერესებს, ვინც გრძნობს, რომ ამიერ კავკასიის ერების მდგომარეობა განსაცდელშია, მან ყოველი ღონე უნდა იღონოს ოსმალეთის თავდასხმის მოსაგერიებლათ.

ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნა კი ერთათ ერთი საშუალებაა უბედურების თავიდან ასაცდენათ.

პრესა

ეროვნული დემოკრატებიც საქართველოს ბედ-იღბალზე ზრუნავენ. საოცარია: ისინი ხომ ერთი მუჭა ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ და როგორ შეუძლიათ მათ საქართველოზე ილაპარაკონ. საქართველო ხომ ხალხის უმრავლესობაა—მუშები, გლეხები და წვრილი ბურჟუაზია. მაგრამ ეროვნული დემოკრატები აქ სასწაულის მოხდენას ფიქრობენ, ისინი ურჩევენ ხალხის უმრავლესობას, რომ მან თავისი საარსებო ინტერესები დაივიწყოს. გაზეთი „საქართველო“—ორგანო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა სწერს:

> „ვინც ამ განსაცდელის ჟამს ქართველი ერის დაყოფვას, დანაწილებას ქადაგებს, კლასთა შორის ბრძოლას და დავას სთესავს,—მოღალატეა მთელი ერის, ყველა კლასის და ყველა ჯგუფის წინაშე“.

ამ რიგათ ეროვნული დემოკრატები მავნებლათ სთვლიან კლასთა ბრძოლას. პრაქტიკულათ ამ კითხვის გადაჭრა მოგვცა ბ. გვაზავამ სეიმის სხდომაზე. მან განაცხადა: როგორ შეიძლება მიწების ჩამორთმევა მემამულეებისათვის და გამოუსყიდველათ გადაცემა მშრომელ ხალხისთვის,—თუ ასეა, ბარემ სახლებიც წავართვათ სახლის პატრონებს და გავანაწილოთო.

ცხადია, ეროვნული დემოკრატიები და მათი ამყოლნი რევოლიუციის დასამარებას ეტრფიან. უკუაგდეთ კლასთა ბრძოლა, უარჰყავით მუშებისთვის რვა საათის სამუშაო დღე, ხოლო გლეხებისთვის მიწების მიცემა და ხალხიც რევოლიუციას ჩამოშორდება.

მაგრამ ეროვნული დემოკრატები ამით როდი კმაყოფილდებიან. ისინი გვირჩევენ დავივიწყოთ დემოკრატიული მოღვაწეობა ჯერ შინ და შემდეგ ამიერ-კავკასიის მეზობელ დემოკრატიას ვაქციოთ ზურგი. „საქართველო“ სწერს:

> „დაუყოვნებლივ საჭიროა მტკიცე ეროვნული მთავრობა, რომელიც ფეხზე დააყენებს ქართველს ერს თავის არსებობისა და მშობლიურ კერის დასაცავათ“.

მშობლიურ კერის დაცვა, რომ საჭიროა, ეს ყველამ იცის. ტყის ნადირიც კი თავგამოდებით იცავს თავის ბუნაგს. მაგრამ პოლიტიკური პარტია ხომ ვერ ივლის პოლიტიკურათ განუვითარებელ ცხოველის გზით. ამიტომ საქართველო ვერ დაიცავს თავის კერას, თუ ის არ შეუკავშირდა ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. გასწყვიტეთ ეს კავშირი თათარ-სომხებთან და თქვენ საშინელ ანარქიის და ერთა შორის ბრძოლის მსხვერპლი გახდებით.

⁂

ეროვნულ-დემოკრატებს ვერც ჩვენი უებარი სოციალისტები—ქართველი ფედერალისტები გასცილდენ. „სახალხო საქმე“ სიტყვების კორიანტელს აყენებს საქართველომ დამოუკიდებლობისთვის უნდა იბრძოლოსო. მას შემდეგ, რაც მათ ორი დღის უკან დასწერეს ქართველ ხალხის გადაგვარების შესახებ, ერთობ ახირებულს შთაბეჭდილებას ახდენს მათი ბრძოლის ყიჟინა. მაგრამ თავი დავანებოთ ამას, რა გზით ფიქრობენ ფედერალისტები საქართველოსთვის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას? საქართველოს გამოცალკევებით და ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დაშლით. მოვუსმინოთ თვით ფედერალისტებს. „სახალხო საქმე“ რიხით აცხადებს, რომ ჩვენ კი არა სოციალ-დემოკრატიული პარტია გაკოტრდაო. ის სწერს:

> „ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დაწვრილებით პრაქტიკული საქმიანობის პროგრამის გადაშლა ამიერ-კავკასიის სეიმის წინაშე საჭირო არ არის, რადგანაც ეს პრაქტიკული საქმიანობა ეროვნულ-ტერიტორიალურ პარლამენტების კომპეტენციას უნდა შეადგენდეს“.

ამას შემდეგ ფედერალისტები კიდევ უარყოფენ თავის სიკოტრეს. რადგან კარგათ გრძნობენ უხერხულობას, ისინი გვაპარებენ სიტყვას „დაწვრილებით“, ვითომ და პრაქტიკულ მუშაობის დაწვრილებით აღნუსხვა საჭირო არ არისო. ნამდვილათ კი ფედერალისტები უარყოფენ სეიმის ყოველგვარ პრაქტიკულ მუშაობას, გარდა გადამიჯვნისა. ამიტომ წამდაუწუმ იმეორებენ ისინი გვაზავასთან ერთად სეიმის მოქმედების კომპეტენციის განსაზღვრის საჭიროებას.

ამ ახირებულ სოციალისტებს არ მოსწონთ არც ჩვენი პოლიტიკა ზავის საკითხში. ამ გულუბრყვილოებს გონიათ, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გვეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, როცა ოსმალეთმა საამისო წინადადება მოგვცა და საქმეც გათავებული იქნებოდა. „სახალხო საქმე“ გვეკამათება:

> „უფლება გვაქვს ოსმალეთთან ზავი შევკრათ და დამოუკიდებლათ ვიმოქმედოთო, ბრძანებენ ჩვენი საარაკო პოლიტიკოსები. მაგრამ ამის უფლება მათ ქონდათ, როცა ამას წინათ ოსმალეთი თვითონ გვთხოვდა ზავი შევკრათო? თუ თავის უფლების განხორციელებას მაშინ შეუდგებიან, როცა ენვერ-ფაშას გენერლები დაბინავდებიან იმ სასახლეში, სადაც დღეს ასე არხეინათ განისვენებენ ჩვენებური მენშევიკები?
>
> ნუ თუ დღესაც არ უნდა იგრძნონ, რომ მათმა პოლიტიკამ უკიდურეს განსაცდელში ჩაგვაგდო“?

გამოდის, რომ საკმაო წამდაუწუმ შენს უფლებებზე იყვირო და მეტი არაფერი გინდა. ასეთი გზა ფედერალისტებისთვის დაგვილოცნია. ჩვენ კი ადგილობრივ პირობებს ვუწევთ ანგარიშს. როცა კიდევ მოსალოდნელი იყო რუსეთის დემოკრატიასთან ერთობა დამფუძნებელ კრების მოლოდინში, ჩვენ უარვყავით ენვერ-ფაშას წინადადება. დღეს პირობები შეიცვალა და ჩვენი მოქმედებაც იცვლება. ამ მხრით ჩვენ გვირჩევნია თანხმობა გერმანიის მუშათა კლასის სახელოვან ბელად ლიბკნეხტთან, რომელიც ამბობდა: თუ საჭიროება მოითხოვს ოცდაოთხ საათში უნდა შევცვალოთ ჩვენი ტაქტიკაო და არა „სახალხოს“ ბრძენებთან, რომელნიც გვიკიჟინებენ: ფაქტების პარტია ხართო.

ფედერალისტები საჭიროთ არ თვლიან ფაქტებს ანგარიში გაუწიონ და სწორეთ ამიტომ ვარდებიან იმ ერთი არაკის გმირის მდგომარეობაში, რომელიც ყველა შემთხვევაში ერთ და იმავე გაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდა. ამისთვის მას გვერდებიც კი დაუზილეს, როგორც არაკი გადმოგვცემს.

როდის ისწავლიან ქკუას ფედერალისტები?

⁂

ამიერ-კავკასიის საოლქო ცენტრის გაზეთი „იზვესტია“ მომავალ სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და ყაზახთა დეპუტატების ყრილობის გამო სწერს:

„ჩვენი დელეგატების გაგზავნა ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ჩვენს სურვილს რუსეთთან ერთად მოქმედებისას. ეს საუკეთესო პასუხი იქნება იმათთვის, ვინც ცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს, რუსეთს ჩამოგვაშოროს“.

ჩვენ არ ვიცით ვის სდებს ბრალს ეს გაზეთი. ამ საკითხში სოციალ-დემოკრატიის ნაბიჯი საკმაო თავდები უნდა იყოს იმის, რომ აქ ნაციონალისტობა არავინ დაინახოს. რადგან ვინ არ იცის, რომ ჩამოშორებას გვიკარნახებს მდგომარეობა, ამიერ-კავკასიის დაცვის საჭიროება და არა ჩამოშორების სურვილი.

მაგრამ გაზეთი ამით არ კმაყოფილდება. ის ემუქრება ნორჩ სეიმს. ის განაგრძობს:

„ეს იქნება გაფრთხილება სეიმისათვის, რომელიც ნაციონალისტების გავლენით მზათ არის ამ საშიშ გზაზე შედგეს და რომელმაც უკვე გამოიჩინა თავისი ნამდვილი სახე თავის წრიდან კავკასიის არმიის წარმომადგენლების, სოციალისტ-რევოლიუციონერების თავის წრიდან განდევნის სამარცხვინო ფაქტით“.

გვიკვირს და ვერ გაგვიგია ცენტრის ორგანოს ასეთი მოუფიქრებელი დასკვნა: სეიმმა კი არ წაართვა ჯარს წარმომადგენლები, ჯარმა თავისი სამარცხვინო წასვლით თითონ უარყო თავისი თავი და სეიმმა მხოლოდ დაადასტურა ის, რაც ცხოვრებაში მოხდა. ეს არის სამარცხვინო ფაქტი, თუ ის, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერები ცარიელ ადგილების წარმომადგენლობას ჩემულობენ!

⁂

სიტყვების კორიანტელმა და აზრთა არევ-დარევამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიტაცა სოციალისტ-რევოლიუციონერების ადგილობრივი ორგანო „ზნამია ტრუდა“. ის კატეგორიულათ აცხადებს სეიმის შესახებ:

„სეიმი არ არის რევოლიუციონური, არ არის სოციალისტური, ის მხოლოდ ნაციონალისტურია-ო.

მერე რაზე აკარებენ სოციალისტ-რევოლიუციონერები ასეთს დასკვნას? იმაზე, რომ სეიმის ორი ფრაქცია—მუსავატი და დაშნაკცუთიუნი ნაციონალისტური პარტიებია? მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამა თუ იმ ორგანოს რევოლიუციონერობას ქმნის ცხოვრების მიმდინარეობა და არა ის ხმები, რომელნიც ამა თუ იმ პარტიას მოეპოება სეიმში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ზნამია ტრუდა“-ს სავსებით შეუთვისებია „კავკაზსკი რაბოჩი“-ს ენა—ალბათ მდგომარეობის ბრალია.

„სეიმის „თვითგამორკვევა“ მოხდა და მასთან თვითგამოერკვენ მენშევიკები და დაშნაკცუთიუნი“.

რაში ხედავს გაზეთი მენშევიკების „თვითგამორკვევას“? იმაში, რომ მათ მხარი დაუჭირეს ცარიელ ადგილებიდან ესერების წარმომადგენლობას? ნუ თუ ესერებს გონიათ, რომ რაკი ჩვენ ნაბიჯს „მუსავატმაც“ დაუჭირა მხარი, ამიტომ ჩვენ „მუსავატს“ ვემორჩილებით?

ლოღიკაც ასეთი უნდა!

კავკასიის ფრონტი

20 თებერვალი. ნაშუადღევის 3 საათი. 18 თებერვალს სოფ. აბდულ-ინდისთან და ტაკია-დარასთან, რომელიც მდებარეობს არზრუმიდან 15 ვერსის მანძილზე სამხრეთ დასავლეთით მოხდა სროლა. ჩვენი მოხალისეები გადავიდნენ შეტევაზე და გაფანტეს ქურთები.

19 თებერვალს იმავე მიმართულებით ჩვენი რაზმი ქვეითა ჯარის, არტილერიისა და ცხენოსან მოხალისეებისა, რომელიც გაგზავნილი იყო დასაზვერავათ სოფ. აგადირთან, შეეხვა ოსმალეთის ქვეითა ჯარს, ცხენოსანი რაზმითა და ქურთებით, სულ 1,000-ამდე კაცს. გაჩაღდა ბრძოლა. ჩვენებმა უკუაქციეს მოწინაამდეგე და დაიჭირეს სოფელი. მოჰკლეს სომეხ მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკი ლიუბომუდროვი, დასჭრეს ორი მსროლელი. მაშინ თათართა რაზმი დაეცა სოფ. ავრანსა და ათჩიანს. ჩვენს რაზმს ჰქონდა სროლა თათრების ასკერებთან და ქურთებთან.

სხვა ადგილებიდან ცნობები არ მოსულა.

როსტოვის აღება

კავკავი. 16 თებერვალი. როსტოვის შესახებ გარკვევით იტყობინებიან, რომ იგი აიღეს ბალშევიკებმა.

ჩრდილოეთ კავკასიის ამბები

კავკავი. 16 თებ. გუშინ პიატიგორსკის ყრილობაზე დასასწრებლათ გაემგზავრენ ქალაქის წარმომადგენლები, კაზაკებისა და ოსების დელეგატები. ინგუშებმა განაცხადეს, ვითომ განზრახვა აქვთ მათ სცემონ და ამიტომ არ მოვიდენ დელეგატთა მატარებელზე. როცა გამოირკვა, რომ ეს არ არის მართალი, მათ გადასწყვიტეს აუცილებლათ წავიდენ პიატიგორსკში. კაზაკთა წრე განაგრძობს სხდომებს, მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის ნახევარი დელეგატები პიატიგორსკში წავიდენ. ამ ჟამათ არჩევენ საკითხს მოზდოკში პირველ საოლქო ყრილობის მოწვევის შესახებ.

დეპეშა

ბათუმი. პირდაპირი მავთულით იტყობინებიან ბათუმიდან, რომ იქ ჩამოსულა ირაკლი გიორგის ძე წერეთელი და ამ დღეებში ჩამოვა თფილისში.

ახალი ამბები

ბათუმიდან პირდაპირი მავთულით 21 თებერვალს, შემდეგი აცნობეს ამიერ კავკასიის კომისარიატს: გიგზავნით დეპეშას, რომელიც ეხლა მივიღეთ ტრაპიზონიდან: „გეგეჭკორის მიერ ვეხიბ-ფაშას სახელზე გამოგზავნილი დეპეშა მივიღე დღეს და გარდავეცი რემზი-ბეის“. ჩემთან მოვიდა აფიცერი მესამე არმიის უფროსისგან და მომახსენა: ოსმალეთის დელეგატები გამოვლენ კერასუნდიდან და კონსტანტინოპოლიდან ხვალ, მოვლენ ტრაპიზონში 22 თებერვალს (7 მარტი ახ.სტ.) კოლოსოვსკი“.

◆ **სახალხო კომისარების „განკარგულება“!** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა სამხედრო-საზღვაო და დემობილიზაციის სახალხო კომისარებიდან შემდეგი „მოწერილობა“ მიიღო: შეუწყვიტეთ სესხი საერობო კავშირს, ქალაქთა კავშირს და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს. მომავალში ყოველგვარი გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვითო.

◆ **საპნის გატაცება.** 18 თებერვალს საგოსპიტალო ცეიხგაუზიდან გაიტაცეს 500 ათასი ფუთი საპონი. ქურდები მაშინვე აღმოაჩინეს.

◆ **სომეხთა ეშელონი.** თფილისში ჩამოვიდა კიევის სომხებიდან შემდგარი ეშელონი.

◆ **სურსათი.** 21 თებერვლიდან კავკავიდან დაიწყება სასურსათო საგნების გადმოზიდვა თფილისში.

◆ **სამხედრო პირთა საყურადღებოთ.** თფილისის სამაზრო სამხედრო უფროსის სამმართველოსთან არსებულ საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილების თანახმათ სათადარიგო ჯარისკაცები, ახალ გაწვეულნი და „რატნიკები“, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელათ ცხადდებიან სამმართველოში ექიმის შემოწმებამდე მიიღებენ პურს, შაქარს და კერძს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ საუბნო სასურსათო კომიტეტის მოწმობას, იმის შესახებ, რომ ქალაქში პურს, შაქარს და სხვ. არ იღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მხოლოდ ფული მიეცემათ ამ საგნებისათვის. ეს ზომა იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთები სურსათს იღებენ, როგორც ქალაქში, ისე სამხედრო უფროსის სამმართველოშიაც.

◆ **ავათმყოფობის გავრცელება.** ტუაპსეს ექიმთა საზოგადოების ცნობით ქალაქის ავათმყოფთა რაოდენობა მცხოვრებთა 50 პროცენტს უდრის. შიშს ის გარემოება აძლიერებს, რომ ქალაქში მდგარი ჯარი გზის უქონლობის გამო ვერ მიდის ჩრდილო კავკასიაში და გარდა ამისა ქალაქს აწყდება ბევრი ლტოლვილი ბერძენი.

◆ **ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის წინააღმდეგ.** სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ მოსკოვში მოაწყვეს ლიტონობა (ჯვრებით გამოსვლა), რომელშიაც ნახევარ მილიონ კაცმა მიიღო მონაწილეობა.

◆ **ლაზარეთების ლიკვიდაცია.** რადგანაც ჯარები თანდათან იშლება, კავკასიის ჯარების უფროსის ბრძანების თანახმათ უქმდება ქალაქთა კავშირის შემდეგი ლაზარეთები თფილისში: №№ 27, 38, 43, 44 და 45; უქმდება აგრეთვე წითელი ჯვრის № 32 ლაზარეთი და ადგილობრივი დროებითი გოსპიტალი. დანარჩენ ლაზარეთების მოქმედება მცირდება: ქალაქთა კავშირის მე-33 განმანაწილებელი პუნქტი 750 საწოლამდე, მე-40—250 მდე, მე-51—150-მდე და წითელი ჯვრის მე-54—90 საწოლამდე.

◆ **დალაქიშვილის მოკვლის გამო.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა [illegible] მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნა კავკავში, რომელშიაც კომისარიატი სთხოვს მას მიიღოს ყოველგვარი ზომები დალაქიშვილის მკვლელების აღმოსაჩენათ.

— სასურსათო გამგეობის წევრის გ. გ. დალაქიშვილის გარდაცვალების გამო, მისი ხსოვნის პატივსაცემათ სასურსათო გამგეობამ გადასწყვიტა: თანაგრძნობა გამოუცხადოს გამგეობის სახელით განსვენებულის ოჯახს; მოათავსოს სამგლოვიარო განცხადებები ადგილობრივ გაზეთებში; შეხვდეს განსვენებულის ცხედარს მცხეთაში. გაიღოს ხარჯი დასაფლავებისათვის კომიტეტის ანგარიშზე; გადაიხადოს ქვაშვეთის ეკლესიაში გამგეობის სრული შემადგენლობის თანადასწრებით პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე; წარმოითქვას განსვენებულის საფლავზე შესაფერი სიტყვები; ხარჯების დასაფარავათ მიეცეს განსვენებულის ოჯახს ათასი მანეთი; ოჯახისათვის დახმარების საკითხი ცალკე განიხილოს; გვირგვინის ნაცვლათ გადაეცეს შეწირულება ერთ-ერთ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებას; განსვენებულის თანამდებობის შესრულება დაევალოს გამგეობის წევრს თ. გ. კიკვაძეს.

◆ **ბალშევიკები და ქალაქთა კავშირი.** სახალხო კომისარების საბჭომ მოწერილობა გაუგზავნა მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რათა მას ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში დაენიშნა განსაკუთრებული სახალხო კომისარი. მოსკოვის საბჭომ არ შეასრულა ეს მოწერილობა და ამ საქმის შესახებ გაგზავნა პეტროგრადში საგანგებო დელეგაცია. დელეგაციამ დაარწმუნა სახალხო კომისართა საბჭო, რომ ასეთი დანიშვნა სრულიადაც არ არის საჭირო და ამის შემდეგ ბრძანება უარყოფილ იქნა.

◆ **გულშემზარავი საქციელი.** 11 თებერვალს, სად. ქობულეთში მეტათ გულ-შემზარავი ამბავი მოხდა. ქუთაისიდან მომავალ მატარებელში წესიერების დამცველმა ნ. მგალობლიშვილმა აღმოაჩინა არაყი. მან მოინდომა არაყი და არყის პატრონი წარედგინა სადაც ჯერ არს. მაგრამ მხეც კონტრაბანდისტმა მოულოდნელათ რევოლვერი ესროლა დამცველს და იქვე მოკლა. შემდეგ მკვდარს თოფი ააცალა და ასტეხა სროლა. დაიჭრა სასიკვდილოდ ერთი მისივე ამხანაგი და ორი მგზავრიც მსუბუქად. კონტრაბანდისტობას დღეს ფართო ხასიათი აქვს.

◆ **სამარცხვინო ზავის გამო.** სამტრედიის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატ. საბჭოს არაჩვეულებრივი კრება, გაეცნო რა თავისუფალ რუსეთის გერმანიის იმპერიალისტებთან და არა პროლეტარიატთან ზავის შეკვრას, რომელიც მოაწყო სახალხო კომისარების საბჭოს პოლიტიკამ და ხედავს რა ამაში საერთაშორისო მოძრაობის ღალატს,— თავის აღშფოთებას გამოსთქვამს ასეთ სამარცხვინო ზავის ინიციატორების წინააღმდეგ და ძმურ თანაგრძნობას უცხადებს გერმანიის პროლეტარიატს. საბჭო დარწმუნებულია, რომ რუსეთის პროლეტარიატი იმპერიალისტების სურვილების წინააღმდეგ მალე მონახავს თავის პროლეტარულ-ინტერნაციონალურ გზას ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მიზნების მოსაახლოვებლათ.

◆ **მისალმება სეიმს.** (დეპეშა). „აღნიშნავს რა დღევანდელ ბალშევიკების პოლიტიკის მეოხებით მთლიან რუსეთის სამწუხარო დაქუცმაცებას და ამიერ-კავკ. ცენტ. რუსეთზე მოწყვეტას, სამტრედ. რაიონ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნას და გამოსთქვამს რწმენას, რომ იგი შესძლებს გადასჭრას ამიერ-კავკასიის ყველა საჭირ-ბოროტო კითხვები დემოკრატიის სასარგებლოთ, რითაც დაიმსახურებს დემოკრატიის მხარის დაჭერას და დაცვას ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებიდან“.

◆ **მევენახეთა შორის.** პრესაში აღნიშნული იყო თავის დროზე, რომ 1917 წელს ზაფხულში დაარსდა კახელ მევენახეთა კავშირების კავშირი, რომელიც ამ ჟამათ აკავშირებს 17000 წევრ მწარმოებელს. კავშირთა კავშირმა თფილისში შეიძინა ყოფილი კუზანოვის ფირმა და მოაწყო ვაჭრობა. კახეთში კავშირთა კავშირისთვის დაუთმიათ ყოფილი საუფლისწულო მამულის სარდაფები მუკუზანში და ძეგანში, სადაც ღვინო ინახება.

◆ **ცხედრის გამოსვენება.** დღეს, დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან გამოასვენებენ წითელ გვარდიელის ამხ. ნალბანდიანცის ცხედარს. საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტი სთხოვს წითელ გვარდიელებს დაესწრან.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** ღრმათ დაგვამწუხრა წითელ გვარდიელის ამხ. ერმი გიორგის ძე რამიშვილის ტრაღიკულათ გარდაცვალებამ. მართა, ნადეჟდა, ბაბუნა, ნოე და თეოფილე რამიშვილები.

— ღრმად დაგვამწუხრა ძვირფასი ამხანაგის ნოე მგალობლიშვილის ტრაღიკულად გარდაცვალებამ. ბათუმის სამხრე- [illegible]

კრებები და მიტინგები.

7 საათზე დანიშნულია თფილისის კომიტეტის სხდომა სხვა და სხვა საჭირო კითხვების გასარჩევათ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველ რაიონის ს.-დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 4 საათზე პირველ რაიონის ს.-დ. ბიუროში დანიშნულია საგანმანათლებლო კომისიის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

— კვირას, 25 თებერვალს, საღამოს 5 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე (მიხეილის პრ., № 91) მოხდება გაზ. „ბორბას“ მეპაიების კრება. სთხოვენ კრებას დაესწრონ რაიონულ კოლექტივების საოლქო და თფილისის კომიტეტების წარმომადგენლები.

— დღეს, 22 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ეროვნულ საბჭოს დარბაზში დანიშნულია თფილისში არსებულ ყველა დარგის საპროფესიო ქალთა და ვაჟთა სკოლების მასწავლებელთა კრება. ეროვნული საბჭოს განათლების სექცია დაბეჯითებით სთხოვს ჭრა-კერვის, ხელსაქმის და სხვა საპროფესიო საგნების ქართველ მასწავლებლებს აუცილებლათ დაესწრონ ხსენებულ კრებას.

ქუთაისის ამბები

განსაკუთრებულმა კომიტეტმა თავის მუშაობა 15 თებერვლის საღამომდე განაგრძო. ამ დღეს უკანასკნელათ მოხდა კრება, ჩააბარა ანგარიში მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მოხსნა სამხედრო წესები და დაიშალა.

11—12 თებერვალს მოლაპარაკება გვქონდა პირველ ქართველ მსროლელთა პოლკთან. განსაკუთრებულმა კომიტეტმა აირჩია ორი ამხ. კ. ჭუმბურიძე და ალ. დგებუაძე და გამართა მოლაპარაკება პოლკთან. მის შემდეგ,რაც რომ 115 პოლკს იარაღი აყარეს, უმთავრეს საკითხს პირ. ქარ. მსროლელთა პოლკთან დამოკიდებულება წარმოადგენდა. მოლაპარაკებამ გამოარკვია, რომ ჯარისკაცები სრულებითაც არ არიან წინააღმდეგი შეასრულონ განსაკუთრებით კომიტეტის მოთხოვნილება, ხოლო ისინი უცდიან ჯამაგირისა და სპარსეთის „ვალიუტის“ მიღებას. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა შეთანხმება: ჯარისკაცები იღებენ ჯამაგირს, მიაქვთ ვინტოვკები და მიდიან შინ, ხოლო „ვალიუტას“ შესახებ ტოვებენ კომისიას, რომელიც მოაგვარებს ამ საკითხს. აირჩიეს ორი ჯარის კაცი და გაგზავნეს თფილისში, რათა კომისარიატს დაეჩქარებია ფულის გამოგზავნა. ამის შემდეგ თფილისელი გვარდიელები და ჯავშნიანი მატარებელი 12 თებერვალს საღამოს გაემგზავრა თფილისისკენ, ამ დღესვე მოხდა ტყვიისმფრქვეველების ჩაბარება. 13 თებერვალს ჯარის-კაცების უმეტესობა წავიდა თავთავის სოფლებში. ამ დღეს ორი ეშელონი გაემგზავრა. სოც-დემ. კლუბთან მათ სიტყვით მიმართა ამხ. კ. ჭუმბურიძემ და ამხ. გრ. გიორგაძემ. ორივე ორატორმა მოუწოდა მათ მიეღოთ ენერგიული მონაწილეობა ადგილობრივ ორგანიზაციებში და მათთან შეთანხმებულათ ემუშავათ. ჯარის-კაცებმა ფიცი დასდვეს ჩვენ დავიცავთ რევოლიუციას, ოღონდ თქვენ მიწა მოგვეცითო.

14 თებერვალს გავასვენეთ ამხ. დახოცილი გვარდიელები. ეს დღე სადღესასწაულო დღე იყო. 15 თებერვალს პროვინციელი ამხანაგები თითქმის აღარავინ ყოფილა. ქალაქში წესიერებას ადგილობრივი გვარდიელები იცავდენ. საღამოს ტყიბულიდან ჩამოვიდა 50 მაღაროს მუშა შეიარაღებული, რომლებიც ერთ თვეს დარჩებიან ქუთაისში. მოელიან 100 კაცს ზუგდიდიდან. საერთოთ ამ ჟამათ ქუთაისში რევოლიუციონური წესი აღდგენილია. დატუსაღებულები ყველანი საგუბერნიო ციხეში სხედან. მათი რიცხვი 100-დე აღწევს. გადაწყდა დაარსდეს რევოლიუციონური ტრიბუნალი, რომელიც გაარჩევს დაჭერილების საქმეს.

ჩვენის აზრით, მიუხედავათ იმისა, რომ წესიერება აღდგენილია, მაინც კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ ბნელმა ძალებმა ისევ არ წამოყონ თავი. რევოლიუციონური ორგანიზაციების მუშაობა და წითელი გვარდიის გაძლიერება, აი რას შეუძლია უზრუნველ გვყოს ყოველი ბნელი ძალებისაგან. „ს. დ.“

ამხანაგების საყურადღებოთ!

თავრიზელ (სპარსეთი) ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებ ანგარიშს თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კულტურულ-განმანათლებელ წრის [illegible] ნახმად სარევიზიო კომისიის მოხსენებისა, 2 დეკემბერს, 1917 წელს კასაში იყო 2,819 მანეთი და 39 კაპ.; ამ ფულებში შედიოდა 140 კრანი და 13 შაი სპარსული ფული, რომელიც ნაანგარიშევი იყო ძველი კურსით ათი შაი მანეთად. შემდეგ კურსმა მოიმატა. ლიკვიდაციის დღეებში სპარსული თუმანი დახურდავებულ იქნა 12 მანეთად; ამისდა მიხედვით 140 კრანმა და 13 შაიმ შეადგინა 168 მანეთი და 78 კაპ. ე. ი. აღნიშნულ თანხას დააკლდა 120 მანეთი და 52 კაპ.; ამას გარდა თავრიზის აღმასრულებელ კომიტეტზე დარჩა ვალად 179 მანეთი. სულ დარჩა ფულად (2,819 მ. 39 კ.—112 მ. 52 კ.+179 მ.)=2,527 მ. და 87 კაპ.; ამ ანგარიშის შემდეგ შემოვიდა მოწოდების სიებით—ვასო მელაძისაგან (№ 8) 50 მ. და 4 კრანი (თუმანი 12 მანეთის ანგარიშით) ანუ 54 მანეთი და 80 კ., შალვა შალამბერიძისაგან (№ 10) 65 მ. და 15 კაპ.; შალვა კიკნაძისაგან (№ 3) 60 მან.; ერასტო ქორქოლაძისაგან (№ 2) 28 მან; სამკითხველოს მაგიდის და სკამების გაყიდვიდან 91 მან. სულ მთელი ფული ჩამოთვლილი შემდეგში შემოსავლით შეადგენს (2,527 მ. 87 კ.+54 მ. 80 კ.+65 მ. 15 კ.+60 მ.+28 მ.+91 მ.=2,826 მანეთს და 12 კ.) 2,826 მ.—12 კ. 2 დეკემბრის შემდეგ გამოწვეული ხარჯები გამოიხატება 267 მანეთში და 50 კაპეიკში (სხვა წვრიმალ ხარჯების გარდა ბევრი ხარჯები გამოიწვია ტელეგრამებმა კომისარიატის სახელზე და თვით ამ საქმეზე საგანგებო მოგზაურობამ). ამგვარათ საზოგადო დაწესებულებებზე გასანაწილებლად დარჩა (2,826 მ. 12 კ.—267 მ. 50 კ.=2,558 მ.—62 კ.) 2,558 მ. და 62 კ. ეს ფულები, თანახმად 17 ნოემბრის საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, უნდა განაწილებულიყო ოთხ თანასწორ ნაწილად შემდეგ დაწესებულებების სასარგებლოთ: ქართული თეატრის ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლად, მთავარი კავშირის სასარგებლოთ, პარტიული სტამბის ფონდის სასარგებლოთ და 115 სათადარიგო პოლკის კავშირის სასარგებლოთ. თვითეულ ამათგანს მოუწია (2,558 მ. 62 კაპ.:4)=639 მ. 63 კ.; ეს ფულები ჩემ მიერ გადაცემულია აღნიშნულ დაწესებულებებზე (იხ. „ჯარისკაცი“, „ერთობა“ და „სახალხო საქმე“); მხოლოდ 115 სათადარიგო პოლკის კავშირის კუთვნილი თანხა 639 მ.—63 კ. დარჩა ჩემთან. ამის შესახებ პრეზიდიუმის წევრებს უნდა მოვაგონო შემდეგი: როდესაც საზოგადო კრებამ გადასწყვიტა ამ ფულის აღნიშნულ კავშირზე გადაცემა ხელმძღვანელობდა მით, რომ თავრიზის გარნიზონის ჯარისკაცთა უმეტესობას ქუთაისში მოუხდებოდათ სამსახური. დღეს მდგომარეობა შეიცვალა: მოხდა დემობილიზაცია, მასთან აღნიშნული პოლკი სრულიად დაიშალა. ამიტომ პირადათ ჩემი შეხედულებით უმჯობესი იქნება თუ ამ ფულს გადავსცემთ ქართულ უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლად. ამიტომ ვსთხოვ პრეზიდიუმის წევრებს ამხ. ვასო მელაძეს, აკაკი ძნელაძეს და შალვა შალამბერიძეს მაცნობონ თავიანთი შეხედულება შემდეგი მისამართით: ქ. ლანჩხუთი, ს. აცანა რაფიელ ჩხაიძეს. შემდეგ თქვენგან ცნობის მიღებისა ფულს გადავსცემ იქ, სადაც თქვენ მიმითითებთ. კვიტანციები და ყოველი საბუთები ინახება ჩემთან.

თ. გ. ქ. მხ. კულტ.-განმანათლებელი წრის თავმჯდომარე რაფიელ ჩხაიძე.

მუშათა წერილები

სოფლის ვითარება.

საზოგადოებრივი ანარქია სოფლებსაც ედება.

ყოველივე კუთხეებიდან მეტათ დამაფიქრებელი ცნობები მოდის; ძარცვაგლეჯა, მკვლელობა, ლოთობა, შავრაზმელების თარეში, საზოგადოებრივ დაწესებულებათა წინააღმდეგ მოქმედება დღითი დღე ფართე ხასიათს ღებულობს და განვითარების უმაღლეს საფრთხეს უახლოვდება.

აგრარულ ნიადაგზე ბრძოლა ურთიერთ შორის მწვავდება, იტაცებენ ადგილებს, სჩეხენ და ანადგურებენ ტყეებს, არბევენ ნაც. სიმდიდრეს.

ბევრია მგზავსი მაგალითები, მაგრამ საილიუსტრაციოთ ესეც საკმარისია.

მწვავე და საშინელი ფაქტები ერთი მეორეს მოსდევს და საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება ჩვენშიაც საგრძნობლათ იცვლება. დაწყებული ანარქია ნიშანია ძლიერი ქარიშხალისა.

ერთად ერთი საიმედო მხარე, რომელსაც შეადგენდა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ნაწილები, იქაც თავი იჩინა არევ-დარევამ და ამ ბოლოს თითქმის ყოველგან მიაღწია საერთო გახრწნამ.

ცხადია საზოგადოების მოწინავე ნაწილი იბრძვის ამ გამათახსირებელ და დამღუპველ მოვლენებს, მაგრამ ყოველივე მხრიდან დახმარებას და შველას ითხოვენ.

ამ საერთო არევ-დარევაში დიდი წილი [illegible] ჩვენებურ ბალშევიკებს, რომლის დროშის ქვეშ თავს იყრის საეჭვო ლაშქარი.

რამდენათ მემარცხენეა სახით სახიფათოა ამ ჟამათ მოღვაწეობა, იმაზე არა ნაკლებ საშიშარია საქართველოს მემარჯვენე პარტიის მოქმედება, რომლის ირგვლივ თავს იყრის მემამულეები, გაკოტრებული თავად-აზნაურობის ზოგიერთი ნაწილები, მღვდლები და ბერები. ეს მეორე ლაშქარია, რომლის მიზანია დემოკრატიის დამარცხება.

გასულ წელს მუშ. და ჯ.-კ. საბჭო ხელმძღვანელობდა სოფლებს, გზავნიდა პროპაგანდისტ-ორგანიზატორებს, აღგენდენ გლეხთა საბჭოებს და აწარმოებდენ რევოლიუციონურ მოძრაობას, მარა ეს იყო ხანმოკლე და დღეს ამ მხრით არავითარი ყურადღება არ ექცევა ცენტრებიდან.

გლეხთა ცენტრი, უნდა სიმართლე ვსთქვათ, ამ ბოლო ხანებში სრულიად დაშორდა სოფლებს და გლეხთა მასსას მოწყვეტილია, ჰაერშია გამოკიდული. სოფლებში დაარსებული საგლეხო საბჭოები თითქმის ყველგან გაქრა და არავითარ რეალურ ღირებულებას არ წარმოადგენს ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ჟამათ კი კითხვა იბადება: ბრძოლა არევ-დარევის წინააღმდეგ აუცილებელია, მაგრამ სად არის ამისი შესაფერი აპარატი?

ერთად ერთი მეთაური, ხელმძღვანელია კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობის ასალაგმავათ ს. დ. მ. პ., მაგრამ არის ისეთი კუთხეები, სადაც ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს.

ამიტომ საჭიროა დაუყონებლივ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ამიერ კავკასიის სეიმმა და განსაკუთრებული კომისიები გაგზავნოს სოფლებში ხალხის ადგილობრივ შესაკავშირებლათ და ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აქ დაყოვნება სიკვდილს უდრის, ვინაიდან ახლოვდება საუბედურო მომენტი და ამის წინააღმდეგ დღეს სერიოზული ბრძოლაა საჭირო.

თ—ლი მუშა.

გიორგი დალაქიშვილი

მეტათ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დეპეშამ ქ. კავკავიდან: სასტუმრო „ევროპა“-ი ვერაგულათ მოუკლავთ თფილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობის წევრი აგრონომი გიორგი დალაქიშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო ამიერ-კავკასიისთვის პურის შესაძენათ.

მე არ ვიცი, რომელ პარტიას ეკუთვნოდა განსვენებული, მაგრამ ერთი რამ თამამათ შემიძლია ვთქვა: მას გულწრფელათ უყვარდა ხალხი და ყოველ ჯგუფს, რომლის წევრიც არ უნდა ყოფილიყო ის, სამართლიანათ შეეძლო მით ამაყობა. საკმაოთ მომზადებული, ახალგაზდა და ჯანღონით სავსე, ის განხორციელებული პატიოსნება და საქმიანობა იყო.

ძნელი და აუტანელია ასეთი ადამიანის დაკარგვა მისი ოჯახისა და ტოლამხანაგებისათვის, მაგრამ კიდევ უფრო საგრძნობია იმ საქმისთვის, რომელსაც ის სულით და გულით ემსახურებოდა. ამიერ-კავკასიის გამოკვების საქმემ დაჰკარგა ერთი საუკეთესო მუშაკი!

საუკუნოთ დარჩება შენი ხსოვნა ძვირფასო მეგობარო გიორგი. ქ.

საქართ. ეროვნულ საბჭოს აღმ. კომ. ხელოვ. სექციის განცხადება და ძირითადი დებულებანი.

უხვია და დიდძალი ის მასალა, რაც შექმნილა ჩვენ მიერ ხელოვნების სფეროში, მაგრამ უფრო საბედნიერო ის არის, რომ ჩვენ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა არ გვითქვამს, ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ. ჩვენი დღევანდელი ხელოვნება გალიაში მომწყვდეულ ჩიტსავით ფრთხიალებს და კედლებს ეხეთქება: მას უნდა სუფთა ჰაერი, ტყის სიხშირე, ცის ლაჟვარდი, თავისუფლება.

ამიტომაც თავისუფალმა საქართველომ სწორედ ამ ხელოვნებაზე უნდა იზრუნოს, რომ მისი აღორძინებით გაიუკვდავოს თავი თვისი და კაცობრიობის შემოქმედებას მიუტანოს თავისი ელფერი, თავისი საპატიო ფერადი.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში იცოდა ქართველობამ, რომ „შაირობა (იგულისხმეთ ხელოვნება) სიბრძნისაა ერთი დარგი“ და მაშ ჩვენ უფროც უნდა მივხვდეთ მის სიღრმეს.

მართალია დღეს-დღეობით ბევრი სხვა მწვავე საკითხები გვიტაცებენ და თითქო ხელოვნებისათვის ისე აღარა გვცალიან, გვავიწყდება მშვენიერი და უკვდავი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ სწორეთ ამ დროს, როდესაც ერთის მხრით ინგრევა ძველი წესი ცხოვრების მართვა-გამგეობისა, ეკონომიურ დამოკიდებულებისა და მეორეს მხრით შენდება ახალი, უფრო სამართლიან საფუძველზე [illegible]

სხვა დარგებისა, ხელოვნების საქმესაც უნდა მივცეთ გზა ფართო და ჩავაყენოთ სათანადო კალაპოტში, რადგან კვლავ გაუცვეთელია ის აზრი—„არა ერთითა პურითა ცხოვნდების კაციო“.

ამიერიდან საქართველოს ერი უნდა იყოს უზენაესი მომვლელი და პატრონი თავის ხელოვნებისა, ხოლო მის ტეხნიკურ მხარეთა გასაძღოლად საქართველოს მომავალ მთავრობას უნდა ჰქონდეს შექმნილი ერთგვარი ინსტიტუტი—ხელოვნების სამინისტრო.

ძირითადი დებულებანი.

I. თანახმად 1917 წ. ნოემბრის 19-ს შემდგარ საქართველოს ეროვნულ ყრილობის რეზოლიუციისა, რომელშიაც გამოთქმული იყო ერთსულოვანი სურვილი შესახებ ხელოვნების სექციის დაარსებისა, ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს ხელოვნების სექცია, რომლის სახელმწიფოებრივ იურიდიული ყოფა და უფლება იგივეა, რაც აღნიშნულ კომიტეტთან არსებულ სხვა სექციებისა.

II. ხელოვნების სექციის დანიშნულებაა უზენაესი მფარველობა ხელოვნების ყველა დარგისა საქართველოში.

შენიშვნა ამისთვის ხელოვნების სექცია ხელს უწყობს:

ა) ეროვნულ მუზეუმების, სამხატვრო გალერეების, მათი წიგნთ-საცავების და ძეგლების აღმართვის საქმეს;

ბ) დრო-გამოშვებით ხელოვნების დარგთა გამოფენებს, როგორც ეროვნულს, აგრეთვე საერთაშორისოსაც;

გ) მხატვრული მრეწველობისათვის შესაფერ სასწავლებლების, სახელოსნოების და ქარხნების დაარსებას.

III. ხელოვნების ყველა ისტორიული ნაშთები საქართველოში შეადგენენ ქართველი ერის საკუთრებას და მათი მოვლა-პატრონობის საქმე ექვემდებარება ხელოვნების სექციას.

შენიშვნა: 1. არავისა აქვს უფლება საქართველოში ხელოვნების ისტორიულ ნაშთის მითვისებისა და გაყიდვა-გატანისა.

2. რესტავრაცია ხელოვნების ნაშთებისა და აგრეთვე არქეოლოგიური მიზნით გათხრა აკრძალულია სექციის ნებადაურთველად.

IV. ხელოვნების სექცია საჭიროების დაგვარ აარსებს ხელოვნების დარგთა განყოფილებებს, როგორიც მაგალითად სატყვა-კაზმულ მწერლობისა, თეატრისა, მუსიკისა, მხატვრობისა, ხუროთ-მოძღვრებისა და აგრეთვე მომვლელ ინსტიტუტს § III-ში მოხსენებულ ნაშთებისათვის.

V. ხელოვნების სექცია მეთვალყურეობს ეროვნული მთავრობის გამოცემათა, დაწესებულებათა და ინსტიტუტთა გარეგან სილაზათეს და სიტურფეს, როგორც მაგ. ჯარის ტანისამოსს, საბუთების გამშვენებას; სახელმწიფო ცერემონიალის, დროშის, ფულის და სხვა საეროვნო ემბლემათა შემუშავებას; ხუროთ-მოძღვრებაში სტილის დაცვას; ქალაქთა, დაბათა და სოფელთა გამშვენიერებას და ხელოვნების ნაშთთა და ძეგლთა რესტავრაციას.

V . ხელოვნების სექცია თავის ფინანსებისათვის, გარდა სახელმწიფო დახმარებისა, აწესებს სხვადასხვა გადასახადს, როგორც მაგ. სათეატრო მარკებს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში, სათამაშო ქაღალდზე და სხვა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის ხელოვნების სექციის გამგე **ვლ. გოზჩია.**

თავმჯდომარე შალვა დადიანი.

მდივანი ლეო შენგელაია—ქიაჩელი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

20 თებერვალი.

როგორც ყოველთვის კრება დღის 1 ნახ. საათზე გაიხსნა. განაგრძეს სეიმის წევრის სეიდოვის შეკითხვის შესახებ კამათი.

არზუმანოვი—როგორც იმ დელეგაციის წევრმა, რომელიც გაგზავნილი იყო ერევნის გუბერნიაში, დაწვრილებით გააცნო კრებას ერევნის ამბები და ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია შეტაკება. ერთად ერთი საშუალება—სთქვა მან დასასრულ—ანარქიასთან საბრძოლველათ არის ყველა შეიარაღებული ძალა გადავიდეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ხელში, დაიშალოს ეროვნული ჯარის ნაწილები და შესდგეს ძლიერი ტერიტორიალური ჯარი.

შემდეგ ლაპარაკობენ კარჩიკიანი, ლასხიშვილი და სხვები. ლასხიშვილი ანარქიის მიზეზათ ასახელებს ეროვნულ საკითხს, რომელიც ჯერაც არ გადაწყვეტილა. საჭიროა ამ საკითხის გადაწყვეტა და ანარქიასაც ბოლო მოეღება. წინადადებას იძლევა აირჩიონ ეროვნებათა შორისო კომისია.

კამათი სწყდება. ს.-დემოკრატ მენშევიკების სახელით ალ. ლომთათიძე კითხულობს შემდეგ რეზოლიუციას: „მოვისმინეთ რა ცნობები ერევნის გუბერნიაში ანარქიის გაძლიერების შესახებ, სეიმი წინადადებას იძლევა აირჩიონ საგანგებო, საგამომძიებლო საპარლამენტო კომისია, ყველა დამნაშავეები დაატყვევონ და პასუხისგებაში მისცენ. სეიმი წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის კომისარიატს მიიღოს ენერგიული ზომები ანარქიის მოსასპობათ, რისთვისაც მის განკარგულებაში გადადის ჯარის ყველა ნაწილები“.

კაჩაზნუნი მხარს უჭერს მენშევიკების რეზოლიუციას და შემდეგი შესწორება შეაქვს: „წინადადება მიეცეს ჯარების მთავარ სარდალს, მიიღოს ენერ. ზომები, რომ ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებიდან ფრონტზე მიმავალი ჯარის ნაწილები დაუბრკოლებლათ გაუშვან.

კენჭის ყრით დიდი ხმის უმეტესობით რეზოლიუციას ღებულობენ.

წინადადება შემოაქვთ აირჩიონ 5 კაცისაგან კომისია.

ტიგრანიანს წინადადება შეაქვს შესწყვიტონ კრება, რომ დაასახელონ კომისიის კანდიდატები. მეორე წინადადება შემოდის კრების გათავებისას აირჩიონ კომისია.

კენჭის ყრით უკანასკნელ წინადადებას ღებულობენ.

სასურსათო საქმის სამინისტროს კომისარი რიგს გარეშე განცხადებას აკეთებს. ის აღნიშნავს, რომ ჩვენი სამეურნეო ცხოვრება უმწვერვალეს კრიტიკულ მდგომარეობას განიცდის, კატასტროფა კარზე გვადგია და საჭიროა ეხლავე, დაუყონებლივ მიღებულ იქნას ზომები ამ კატასტროფის თავიდან ასაშორებლათ.

კრება ადგენს აირჩიოს 11 კაცისაგან კომისია. კანდიდატები შემდეგ კრებაზე უნდა დაასახელონ.

განსახილველია დღიურ წესრიგის შემდეგი მუხლი მთავრობის შედგენის შესახებ. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას ილაპარაკონ ამ საკითხის შესახებ, მაგრამ სიტყვას არავინ ღებულობს.

ნ. ჟორდანია ამბობს, რომ ასეთ საშიშ დროს ყველაზე მეტათ საჭიროა ძლიერი მთავრობა, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს მთელი მხარის ცხოვრებას და მოსპოს ანარქია. წინადადებას იძლევა ეხლავე შეუდგენ ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან დაყოვნება მთელ მხარეს დიდ ზიანს მოუტანს.

გვაზავა ამბობს, რომ მთავრობის შედგენა, მაგრამ ისეთის, რომლის არსებობა ყველასთვის საგრძნობელი იქნება, აუცილებლათ საჭიროა, საჭიროა ყველა გრძნობდეს, რომ მთავრობა არის. დღეს ეს მთავრობა არ არის და არც არავინ ამას გრძნობს. მე აქ შემოვედი, ამბობს ის—კარებთან თოფიანი დარაჯი იდგა, მე სრულებით არ მიგრძნია, რომ ის დარაჯი იყო. ჩვენ გვყავს პირველი მინისტრი გეგეჭკორი, მე იმას ისე ვუყურებ როგორც ამხანაგს, მასთან დავდგები, ბეჭზე ხელს დავკრავ და მასლაათს დავუწყებ, რადგან მას მე ამხანაგათ ვსთვლი. ეს ასე არ უნდა იყოს. ის წინადადებას იძლევა ჯერ დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, ზავი შეჰკრან და შემდეგ მთავრობა შეადგინონ.

რამიშვილი ამბობს, რომ მთავრობის შედგენის შესახებ საკითხი ერთი თვის წინათ დაისვა ცენტრში. როცა ისეთი პირობები შეიქნა, რომ რუსეთს მოვწყდით გადავსწყვიტეთ ამ მთავრობის შედგენა. შესდგა ამიერ-კავკასიის კომისარიატი, მას განსაზღვრული პროგრამა არ ქონდა შემუშავებული. ყველა მთავრობას აქვს ერთი განსაზღვრული მიზანი. არის მრავალი საკითხები, რომლების გადაწყვეტა აუცილებლათ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს ამ საშინელ ომს. და დაუყოვნებლივ შეჰკრას ზავი. ჩვენ დავადგინეთ დავტოვოთ ოსმალეთთან ძველი საზღვრები, უკეთუ ეს საზღვრები შეიცვალა ეს რევოლიუციას და ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიას დაღუპავს, ამიტომ ჩვენ ვამბობთ არავითარი ცვლილება საზღვრების. არის მეორე საკითხი—აგრარული. საჭიროა ამ კითხვის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა, ყველა მიწები უფასოთ უნდა ჩამოერთვას და გარდაეცეს მშრომელ გლეხობას. ეჭვს გარეშეა ანარქიამ იმიტომ გაიდგა ფესვები, რომ გლეხობამ მიწები ვერ მიიღო. მიეცით გლეხებს მიწები და ანარქიასაც ბოლო მოეღება. შემდეგი საკითხი, რომელიც მეტათ მწვავეა ამიერ-კავკასიაში, არის ეროვნული საკითხი. რომ ამ გამწვავებას ბოლო მოეღოს მთავრობის ვალია გადასჭრას ეს საკითხი, საჭიროა ტერიტორიალური გადამიჯვნა და თვითმართველ ერთეულების დაარსება. არის კიდევ სხვა მრავალი საკითხი, რომლებიც ჩვენ უნდა გადავსჭრათ, საფინანსო და სხვა.

მთავრობის განკარგულებაში უნდა იყოს იძულებითი ძალა და ამას მოკლებული იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატი. საჭიროა მთელი სამხედრო ძალა კომისარიატის განკარგულებაში იყოს. ს.-დემოკრატ-მენშევიკების ფრაქცია და „გუმეტი“ წინადადებას იძლევა ყველა სამხედრო ნაწილები კომისარიატის განკარგულებაში გადავიდეს. ახალი მთავრობა უნდა შესდგეს იმ პირებისგან, რომლებიც ზემოთ მოყვანილ მიზნებს იზიარებენ. და ჩვენს პლატფორმაზე დგანან, ვისაც ეს არ სურს ის მთავრობაში არ უნდა შევიდეს. საჭიროა ამ აზრს დაადგეს უმრავლესობა, რომ ყველა ეროვნებათა სოლიდარულ მოქმედებით გავაკეთოთ ეს ფრიად საჭირო საქმე, ბოლო მოვუღოთ ანარქიას და ხელი მივყოთ ჩვენი ცხოვრების შენებას.

კაჩაზნუნი წინადადებას იძლევა ჯერ სეიმმა შეიმუშაოს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკისთვის კონსტიტუცია და მერე აირჩიონ მთავრობა. კონსტიტუციის შემუშავებამდე კი დროებითი მთავრობა აირჩიონ. მას მხარს უჭერს რასულ ზადეც.

ზურაბოვი აღნიშნავს, რომ მთავრობის შედგენა დღეს აუცილებლათ საჭიროა, რადგან სხვა გზით შეუძლებელია ანარქიასთან ბრძოლა. ეს მთავრობა უნდა შესდგეს პარტიების მიხედვით და არა ეროვნებათა. ის უნდა იყოს ერთგვარი დემოკრატიული. რომ წინათ შემდგარიყო ასეთი მთავრობა, შეიძლება ანარქიასაც აღარ ქონებოდა ადგილი.

ჟორდანია წინადადებას იძლევა შეიკრიბონ ფრაქციები და შეიმუშაონ გეგმა მთავრობის შედგენის შესახებ.

შემდეგ კრება ირჩევს აგრარულ კომისიას. წინადადება შეაქვთ აირჩიონ 21 კაცი.

კენჭის ყრით ამ წინადადებას ღებულობს კრება. კომისიის წევრთა არჩევნები ხდება პროპორციონალურ პრინციპზე და იმ ფრაქციებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან თითო კაცით, ნება ეძლევათ შევიდენ გადამწყვეტი ხმით იმ კომისიებში, რომელთა წევრთა რიცხვი ოცზე ნაკლები არ არის გადამწყვეტი ხმით, დანარჩენ კომისიებში სათათბირო ხმით.

აგრარულ კომისიაში აირჩიეს ს.-დემოკრატ-მენშევიკების ფრაქციიდან—ალამალოვი, ფირუმოვი, ის. რამიშვილი, ხომერიკი, არსენიძე, ონიაშვილი და სმირნოვი.

მუსავატისაგან—რუსტამ ბეკოვი, რასულ ზადე, ახიდჯანოვი, ჯაფაროვი და მამედოვი.

დაშნაკცაკანებიდან—შახატუნი, ჩოლოხიანი, ხაჩატუროვი, ტერ-გევორქიანი და ტოპჩიანი.

მუსულ. სოც. ბლოკისაგან—პეპინოვი. ს.-რევოლიუციონერებისგან—სააკიანი.

თევზაიას წინადადება შეაქვს დაუნიშნონ ვადა აგრარულ კომისიას. მუსავატი მხარს უჭერს ამ წინადადებას.

კენჭის ყრით ღებულობენ სამი კვირის ვადა დაუდვან აგრარულ კომისიას.

შემდეგ ირჩევენ თავდაცვის კომისიას. აირჩიეს სოც.-დემოკრატ—მენშევიკების ფრაქციიდან: ბეგზადიანი, ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია, ფირუმოვი და შეიხულისლამოვი. დაშნაკელებისაგან: ვარციანი, არზუმანოვი, ამასპიური და გეონდანი. მუსავატისაგან: სულთანოვი, გადჯინსკი და ვექილოვი. ს.-რევოლიუციონერებისაგან—გობეჩია. მუსულმანთა სოც. ბლოკისაგან—საფიკიურსკი.

საპარლამენტო კომისიაში—სო.ც-დემ. მენშევიკებისაგან გ. გიორგაძე, დაშნაკელებისაგან ხაჩატურიანი, მუსავატისაგან ხან-ხოისკი, ს.-რევოლიუციონერებისაგან ათაბეგოვი და მუსულ. სოც. ბლოკისგან საფიკიურსკი. ლასხიშვილს წინადადება შეაქვს აირჩიონ საეროვნებათა შორისო კომისია. მენშევიკები მხარს უჭერენ ამ წინადადებას.

კენჭის ყრით წინადადებას ღებულობენ და კომისიის არჩევას შემდეგ კრებისთვის სდებენ.

დღიურ წესრიგში შემდეგ საკითხათ წამოყენებული იყო ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ რადგან გვიან იყო კრებამ ეს საკითხი შემდეგი კრებისთვის გადასდო. კრება დაიხურა. შემდეგი კრება დანიშნულია დღეს დღის 12 საათზე.

წითელ გვარდიელთა სიმღერა

1.

აჰა, შევცურდით მძვინვარ ტალღებში
თამამათ მიჰქრის წინ ჩვენი ნავი...
ვიდრე ჩუხრუხებს სისხლი ძარღვებში,
ვერ გაგვტეხს ტანჯვა, ცხოვრება შავი...
არ შევუდრკებით განსაცდლის აჩრდილს,
ძირს არ დავუშვებთ იალქანს გაშლილს!

2.

ჩვენ ისე გვიყვარს თავისუფლება,
ვით მზესუმზირას სხივები მზისა,
და ვინც კი იმას დაეუფლება,
ვერ გაექცევა ჩვენს მახვილს ისა...
არ ვიცით შიში, არ ვიცით ძრწოლა,
ჩვენი დევიზი: ბრძოლაა, ბრძოლა!

3.

სისხლი არ გვიყვარს, არ ვართ სვავები,
მაგრამ, გვითხარით, როგორ მოვიქცეთ,
როცა დაგვჩხავის თავზე ყვავები:
პირი ვიბრუნოთ და შორს გავიქცეთ?
ეს ხომ მონათა და მხდალთ წესია?
ასე არ გვზრდიდა ჩვენ ხსნის „მესია“!

4.

ფუი, მსოფლიოს უღირს შვილებსა,
მოძმეთა შორის ვინც თესავს მტრობას
და სისხლში ახრჩობს მებრძოლ გმირებსა,
ნიადაგს აცლის ერთობას, ძმობას!
იგი მტერია კაცობრიობის!
ღირსია ფურთხის! ღირსია გმობის!

ვ. რუხაძე.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მესამე ყრილობა

გაერთიანებულ ინტერნაციონალისტების სახელით ლაპარაკობს **ლინდოვი**. ისიც აღნიშნავს, რომ საზავო მოლაპარაკება მეტათ მძიმე პირობებში ხდება, მაგრამ მიუხედავათ ამისა—შენიშნავს ორატორი—როგორი შეცდომებიც არ უნდა იქნას დაშვებული, ისტორია არასოდეს არ უარყოფს დაწყებულ მოლაპარაკების დიდ პოლიტიკურ და ისტორიულ მნიშვნელობას. როცა ჩვენმა მოწინაამდეგეებმა დაინახეს, რომ ფრონტი გაშიშვლებულია, მათ უკარნახეს თავის პირობები რუსეთის რევოლიუციას. როგორ უნდა გამოვიდეთ შექმნილ მდგომარეობიდან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა მოისპოს ის სამოქალაქო ომის პოლიტიკა, რომელიც სრულებითაც არ არის კონტრრევოლიუციასთან ბრძოლაო.

კამათის დასრულების შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს **ტროცკი**.

ნამდვილი დემოკრატიული ზავი შეუძლია ჩამოაგდოს მხოლოდ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციამ. მანამდის კი, სანამ ბატონობს ბურჟუაზია და მას აქვს ძალა-უფლება სხვა ქვეყნებში, ზავი შეიძლება იყოს მხოლოდ კომპრომისული, ანექსიონისტური და ძალდატანებითი. გერმანიის საზავო პირობები ძალდატანებითი პირობებია, მაგრამ ჩვენ ვიზამთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რომ რუსეთის რევოლიუცია იძულებული არ იქნეს მიიღოს სამარცხვინო ზავის პირობები.

შემდეგ ტროცკი მიმართავს რა მარჯვენა სექტორს, ამბობს — შეიძლება თქვენ გვითხრათ ჩვენ ვაწარმოვოთ ომი მანამდის, სანამ არ გავანთავისუფლებთ ყველა ხალხებს. მე არ შემიძლია ვსთქვა, რომ რუსეთის რევოლიუციით უზრუნველ ყოფილია ევროპის კაპიტალიზმის დამარცხება. წინაალმდეგ, მე ვაცხადებ, რომ ყველა, ვინც იტყვის, რომ რუსეთის რევოლიუციით უზრუნველ ყოფილია ევროპის კაპიტალიზმის დამარცხება, ყველა, ვინც იტყვის, რომ რუსეთის რევოლიუცია იძულებული არ იქნება არავითარ პირობებში მიიღოს უბედური ზავის პირობები—ის დემაგოგი და შარლატანია (ტაში).

— რას ამბობდით თქვენ წინათ,—ეკითხებიან მარჯვნიდან.

ჩვენ არ შეგვიძლია მოგცეთ პირობა, რომ არ შევკრავთ სეპარატიულ ზავს. ასეთი პირობა რომ მოგვეცა, მაშინ ჩვენ რუსეთის ჯარს დავუმორჩილებდით ინგლისისა და ამერიკის ოქროს. ეს განმეორება იქნებოდა კერენსკისა და ტერეშჩენკოს პოლიტიკისა. იმიტომ არ გადმოგვიგდია ჩვენ კერენსკის მთავრობა, რომ მისი შეცდომები გავიმეოროთ. არ შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ, რომ რუსეთის რევოლიუციამ მზრუნველობა უნდა გაუწიოს მთელ ქვეყანას. ულრესათ რევოლიუციონურ ხალხის ენერგიასაც აქვს საზღვარი. ჩვენ არავის არ აღუთქვამთ არავითარ სასწაულს, არ ვპირდებით დემოკრატიულ ზავს. მაგრამ ჩვენ ამასთანავე ვიბრძოლებთ დემოკრატიული ზავისათვის.

დასასრულ, ტროცკი აცხადებს, რომ ვილჰელმი ვერ შესძლებს ზამთარში რუსის ჯარის მიერ განადგურებულ ადგილებით შემოუტიოს პეტროგრადსო.

ზავის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა იწონებს და ამტკიცებს საბჭოთა მთავრობის ყველა იმ განცხადებებს და ნაბიჯებს, რომლებიც მიმართული იყო საყოველთაო დემოკრატიული ზავის ჩამოგდებისაკენ. სრულიად რუსეთის ყრილობა აცხადებს, რომ ავსტრო-გერმანიის დელეგაციის მიერ წამოყენებული საზავო პირობები არის არა მარტო დემოკრატიული პრინციპების ფეხქვეშ გაქელვა, არამედ სრული უარყოფაა იმ დებულებების, რომლებიც აღიარა ცენტრალურ სახელმწიფოების დელეგაციამ 12 დეკემბრის დეკლარაციაში.

ცენტრალური სახელმწიფოები იპყრობენ პოლონელებსა და ლიტველებს, ლატიშების ნაწილს, რამდენიმეთ უკრაინელებს, ბელოროსებს და ესტონელებს დაართმევენ ნამდვილ თვითგამორკვევის უფლებას, ძალით ამყარებენ მათ შორის პრივილეგიურ და მქონებელ წრეების ბატონობას.

ამნაირათ, სამხედრო ძალით შემოერთებული ადგილების შენარჩუნება, რასაც ცენტრალური სახელმწიფოები ფიქრობენ საყოველთაო ზავის შემდეგაც, პირდაპირ მიმართულია რუსეთის რევოლიუციის მიერ აღიარებულ პრინციპზე დამყარებულ დემოკრატიულ ზავის წინააღმდეგ.

სრულიად რუსეთის ყრილობა გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ეს ანექსიონისტური პოლიტიკა, როგორც კონტრრევოლიუციონური ზომა უძლური აღმოჩნდება მოსწყვიტოს მშრომელი მასსა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მშრომელ მასსას.

ვენის, ავსტრიის და უნგრეთის მუშათა ძლიერ პროტესტში ანექსიონისტურ ზავის წინაამდეგ და გერმანის პროლეტარიატის დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობაში სრულიად რუსეთის ყრილობა ხედავს საუკეთესო გარანტიას იმპერიალისტურ ზავის საწინააღმდეგოთ, რომელიც დამყარებულია დამონავებაზე, ძალადობაზე და კონტრიბუციაზე.

აცხადებს რა ისევ მთელი ქვეყნის საყურადღებოთ რუსეთის ხალხის მისწრაფებას ომის დაუყონებლივ შეწყვეტის შესახებ, სრულიად რუსეთის ყრილობა განაგრძობს დაიცვას ზავის პრინციპები რუსეთის რევოლიუციის პროგრამის საფუძველზე.

გაუმარჯოს პატიოსან დემოკრატიულ ზავს, გაუმარჯოს ხალხთა რევოლიუციონურ ძმობას“.

ამ რეზოლიუციას 6 მისცა წინააღმდეგ ხმა, 20 თავი შეიკავა.

რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ფრაქციამ წამოაყენა შემდეგი რეზოლიუცია.

„1) ზავის პირობები, რომელიც ცენტრალურ სახელმწიფოებმა წამოუყენეს რუსეთს ბრესტში, არამც თუ ძირშივე ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებსაც ფორმალურათ შეუერთდენ ცენტრალურ სახელმწიფოთა მთავრობები, არამედ არ შეეფერება არც „კომპრომისულ ზავის“ იდეას, ვინაიდან გერმანია და მისი მოკავშირენი საქმით ხელს არ იღებენ არც ერთ ანექსიონისტურ მოთხოვნილებაზე, რომელიც წამოაყენეს მათ იმპერიალისტებმა ომის განმავლობაში.

2) ეს პირობები უდრის ფაქტიურათ ლიტვისა და ლატვიის ანექსიას და პოლონეთის, თუ მან თავისი სივრცე შეინარჩუნა, გერმანიის ვასალურ დამოკიდებულებაში ჩაგდებას. რუსეთს ისინი აშორებენ ზღვაში გასავალს, ეკონომიურათ აჩანაკებენ, ამავე დროს ძალით, დაინტერესებულ ერთა დაუკითხავათ სწყვეტენ სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობის კავშირს, რომელიც აერთებდა რუსის ხალხს პოლონეთის, ლიტველების და ლატვიელების ხალხს; სომხის ხალხს ისინი სტოვებენ ოსმალეთის დესპოტიზმის ქვეშ და ესტონელთა დამოუკიდებლობას ემუქრებიან მოონზუნდის კუნძულების დაპყრობით.

3) ცენტრალურ მონარქიების მიერ ამ პირობების წამოყენება, როგორც აუცილებელის აიხსნება როგორც გერმანიაში იმპერიალისტურ პარტიების შედარებით სიძლიერით და, მაშასადამე მასსის რევოლიუციონურ ზეგავლენის შედარებითი სისუსტით, აგრეთვე იმ საზავო პოლიტიკის ხასიათით, რომელსაც 25 ოქტომბრიდან აწარმოებდა სახალხო კომისართა საბჭო.

4) ეს პოლიტიკა ხელმძღვანელობდა უპირველეს ყოვლისა დაქანცულ ჯარის კაცთა მასსის თანაგრძნობის მოპოებით ბოლშევიკურ მთავრობის გაძლიერების შესახებ მოსაზრებით და შემდეგ იმ შემცდარი შეხედულობით, რომ რამდენიმე ეფექტიანი გამოსვლით შესაძლებელია დასავლეთში რევოლიუციონური ტალღების გამოწვევა და ბოლოს იმ იდეით, რომლის თანახმათ შესაძლებელია სოციალისტური გარდაქმნის მოხდენა ხიშტებით და შედარებით მცირე რიცხოვან პროლეტარიატის ენტუზიაზმით მთელი სამეურნეო ცხოვრების კატასტროფიულ დაშლის მომენტში.

5) საბჭოთა მთავრობამ კრილენკოს ბრძანებით თავის ნებით მორიგების ჩამოგდების შესახებ, მისი უყურადღებობით ცალ-ცალკე და მასსიურათ ფრონტის მიტოვებისადმი და აფიცერთა წინააღმდეგ მიმართულ დემაგოგიით გამოიწვია ჯარის დაშლის ის პროცესი, რომელმაც იგი ამ ჟამათ, როგორც სამხედრო ძალა, არარათ აქცია. რევოლიუციონურ რუსეთის პოლიტიკის მოკავშირე სახელმწიფოთა იმპერიალისტების დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საქმე სახალხო კომისართა საბჭომ გადასჭრა ისეთი მყვირალა, მაგრამ პოლიტიკურათ მიზანშეუფერებელ გამოაშკარავებით მოკავშირე მთავრობებისადმი მტრული განწყობილებისა, რომელმაც არამც თუ დააჩქარა, არამედ შეაფერხა ზავის სასარგებლოთ სახალხო მოძრაობა ინგლისში, საფრანგეთში და ამერიკაში. მთელი თავისი შინაური პოლიტიკით კი, რომელსაც მივყავართ პერმანენტულ სამოქალაქო ომამდე თვით დემოკრატიაში და ცალკე ეროვნებათა შორის საბჭოთა მთავრობამ დაანახვა გერმანიას რუსეთი სავსებით დაუძლურებული, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, და ამით ხელი შეუწყო მისი ანექსიონისტური მადის გაძლიერებას.

6) გერმანიის საზავო პირობების უარყოფას და აქედან გამომდინარე ომის გაგრძელების აუცილებლობას წინ ელობება ზემოთ აღნიშნული ჯარის განადგურება, სამოქალაქო ომით უკიდურესობამდე მისულ სასურსათო საქმისა და ტრანსპორტის არევ-დარევა და რუსეთის დაშლა, რაც საშუალებას აძლევს ცალკე ერებს აწარმოვონ სეპარატიული საგარეო პოლიტიკა იმ იმედით, რომ გერმანიასა და რუსეთს შორის კონფლიქტის დროს გადაარჩინონ თავისი მდგომარეობა. ასეთ პირობებში ახალი „რევოლიუციონური ომის“ გამოცხადება დარჩება ისევ ლამაზ მოწოდებათ, რომელსაც არ მოყვება არავითარი მოქმედება და რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ დააყენებს რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას უფრო მძიმე პირობებში ზავის შეკვრის აუცილებლობის წინაშე, რაც საბოლოოთ გახდის რუსეთს სავაჭრო საგნათ ორივე მებრძოლ ბანაკთა იმპერიალისტებისათვის.

იღებს რა ამას მხედველობაში, მესამე ყრილობა ადგენს:

1) აღიარებულ იქნას ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი საზავო პირობები რუსეთის რევოლიუციისათვის მიუღებლათ.

2) მოუწოდოს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ და მოკავშირე ქვეყნების პროლეტარიატს შეასრულოს პატიოსნათ მთელი თავისი მოვალეობა კლასიური სოლიდარობისა რუსეთის პროლეტარიატისადმი, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთა მთავრობები იძულებული შეიქნენ ხელი აიღონ ანექსიონისტურ მისწრაფებებზე, მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები —დასთანხმდენ საერთო დემოკრატიული ზავის დაუყოვნებლივ ჩამოგდებას.

3) აღიაროს დემოკრატიისთვის იმპერიალიზმის მხრით საფრთხის წინაშე რუსეთის ყველა ეროვნებათა დემოკრატიაში არსებულ ძმათა შორის ომის შეწყვეტის აუცილებლობა.

4) ამისთვის: ა) აღადგინოს დამფუძნებელი კრება, როგორც ხალხის ნების გამომხატველი ორგანო, რომელსაც რუსეთის უმრავლესობა და ყველა რუსეთში მობინადრე ერები სცნობენ და რომელსაც, როგორც ასეთს, საბჭოებთან ერთად შეუძლია გამარჯვების რამდენიმე შანსებით მაინც დაიცვას რუსეთის რევოლიუციის ინტერესები მოწინააღმდეგესა და მის მოკავშირეებთან დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს და, თუ ზავის საქმე ჩაიშლება, მოუწოდოს ხალხს მტრის თავდასხმის წინააღმდეგ დადებით შედეგების მიღების იმედით;

ბ) იცნოს რუსეთში მობინადრე ყველა ერების თვითგამორკვევის უფლება და აღადგინოს ქვეყნის მთლიანობა; უარყოს კერძო ოლქებისათვის ორგანიზაციის ამა თუ იმ ფორმის თავზე მოხვევა, თუ ისინი იცნობენ დემოკრატიულ რესპუბლიკას და საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლებას ადგილობრივ ორგანოებში პროპორციონალურ წარმომადგენლობით;

გ) შესწყვიტოს პოლიტიკურ ტერორის სისტემა და შეიქნას რევოლიუციონური მთავრობა ყველა სოციალისტურ პარტიათა შეთანხმების ნიადაგზე, რომელსაც იცნობს რუსეთის დემოკრატიის ყველა ნაწილები;

დ) დაუყოვნებლივ შეუდგეს ორგანიზაციას საერთაშორისო სამშვიდობო სოციალისტურ კონფერენციის მოსაწვევათ და ამ მიზნით გაიმართოს მოლაპარაკება ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებსა და მათ უმცირესობებთან.

ამიერ-კავკ. კოოპერ. კავ. და მეთამბაქოეთა ორგ. საყურადღებოთ

ამიერ-კავკასიის სასოფ.-სამ. დარგში მეთუთუნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის ყიდვა-გაყიდვა თამბაქოს ფურცლის, რომელიც არსებობდა და არსებობს შემავალობის მეოხებით, თავიდან ბო

ლომდე მოტყუილების ბადეა, რაიც ატყდება თავზედ განსაკუთრებით წვრილ მწარმოებლებს და მომხმარებლებსაც. ამიტომ ორი წლის უკან გურიაში დაიბადა აზრი მეთამბაქოეთა ორგანიზაციის დაარსების და აგრეთვე კოოპერატიულათ თამბაქოს დამუშავების. იმ მიზნით, რომ დაამუშავოს თამბაქო და კოოპერატივების საშვალებით მიაწოდოს თვით მომხმარებლებს, რითაც ბაზრის მხრივ უზრუნველყოფს სოფლის მეთამბაქოებს და აგრეთვე შეღავათს მისცემს თვით მომხმარებლებსაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეთამბაქოეთა წარმოების დარგში არა ნაკლები დაინტერესებული უნდა იყოს თვით მომხმარებელი კოოპერატივებიც, ამიტომ აუცილებელია შეიქნას ძლიერი კავშირი, იმ რაიონულ კოოპერატიულ კავშირებისა, სადაც კი თამბაქო მოდის და აგრეთვე მომხმარებელი საზოგადოებები სხვა რაიონებისაც. მეთამბაქოეთა ბიურო ამა 1918 წელს მარტის 1-ს რიცხვისათვის მოუწოდებს კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლებს დაესწრან ყრილობას ქალაქ თფილისში, სადაც განსახილველი იქნება წესდება, რომლის შედგენაც ყრილობის მიერ იყო მინდობილი და აგრეთვე გეგმა ჩვენი მომავალი მოქმედებისა. ვაძლევთ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლებს, ვთხოვთ გამოგზავნოთ ქ. თფილისში აღნიშნულ დროს. აგრეთვე ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა ბიურო სთხოვს მეთამბაქოეთა ორგანიზაციებს ყოველი მიზეზის გარეშე გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლებიც.

ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა ბიურო.

მუშათა შორის

თფილისი. კარლინსკის ქარხანა. 27 იანვარს მოხდა კარლინსკის ქარხნის მუშათა საერთო კრება. კრებას მუშათა საკმაო რიცხვი დაესწრო. გადარჩეულ იქნა საქარხნო კომიტეტი, სადაც შედიან: პ. რეზვი, იქ. ქობალავა, გ. ოსიპოვი, მ. არეშიძე და აბ. ფრეილიხი. პურის მოტანის საქმე არ ყოფილა კარგ ნიადაგზე დაყენებული, რაც იწვევდა მუშებთა შორის უკმაყოფილებას. თუმცა მუშის მიღება და დათხოვნის საქმე საქარხნო კომიტეტის ხელში იყო, მაგრამ მაინც ხაზეინს მიუღია ოთხი კაცი თავის ნებით, ეს მუშებმა თავის ინტერესების შელახვათ სცნეს და მიანდვეს ახლად არჩეულ კომიტეტს ხელ ახლა განიხილონ მათი მიღების საქმე, გამოითქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი შეგნებული მუშები იქნას მიღებული.

19 თებერვალს მოხდა ამავე ქარხნის კომიტეტის კრება.

გაირჩა მუშათა მიღების და დათხოვის კითხვა. ოთხი მუშა, რომელიც მიღებულ იყვენ ხაზეინის მიერ დათხოვნილ იქნას და მის ნაცვლათ მიიღებიან ისეთი მუშები, რომელნიც პარტიის მანდატით იქნებიან და დაემორჩილებიან ამ დარგის მუშათა კავშირის წესდებას. დათხოვნილ იქნებიან ყველა ის, ვინც ხაზეინის მხარეს დაიჭერს და ან პროვოკაციულ ხმებს გაავრცელებს მუშათა შორის. მუშა აბდერახმონის შესახებ კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქმნას სამი ექიმი მისი ჯანმრთელობის გამოსარკვევად და ვინაიდან ხსენებული მუშა ავადმყოფობის გამო ფიზიკურ მუშაობას ვერ შესძლებს, სრულებით დამტვრეული აქ ფეხები და წელიც მას მიეცეს სრული ჯამაგირი თავიდან და აწიც მიეცეს იოლი სამუშაო სრული ჯამაგირითვე. ამავე დროს არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მანქანების სისტემის ტეხნიკური გაუმჯობესობის საქმე. კომიტეტმა იქონია მსჯელობა ხაზეინის მიერ კვირეში ერთი დღის ჯამაგირის დაჭერის შესახებ და დაადგინა: ჯამაგირის დაჭერა ხაზეინს კვირაში ასთუმანზე მეტს ჰმატებს და მუშებს კი აკლდებათ; კომიტეტი მოითხოვს მუშების ქირა ერთი კაპეიკი არ დაიჭიროს. კომიტეტი მოითხოვს: ყველა მუშას დაურიგდეს წიგნაკები და იქვე ეწერებოდეს მიღებული დღიურები. არც ერთი მუშა მიღებული და დათხოვნილი არ იქმნეს ქარხნიდან კომიტეტის დაუკითხავად და ნება დაურთველად.

ძმა-კაცი.

თფილისი. 18 თებერვალს შესდგა საერთო კრება მომხმარებელ საზოგ. „ალორძინების“ ყველა განყოფილებების მოსამსახურეთა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) კოლექტიური ხელშეკრულობა, 2) ურთიერთ შორის დამხმარებელი კასა, კოოპერატივებში მოსამსახურეთა და სხვა წვრილმანი საკითხები.

კრებამ ამოირჩია კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც ევალება: დაუყოვნებლივ აღძრას საკითხი, თფილისის კოოპერატივეში მოსამსახურეთა შორის კოოპერატიულ სექციის შესაკავშირებლათ. გასწიოს პროპაგანდა-აგიტაცია ყველა კოოპერატივებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შორის, კოლექტიურ ხელშეკრულობის შესახებ საკითხის გადაჭრის აუცილებლობაზე. მიიღოს ყოველივე ზომები პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მიმართ, რომ საჭირო ნაბიჯი გადადგას კოლექტიურ ხელშეკრულობის შესაკრავათ ყველა სავაჭრო დაწესებულებებთან და კოოპერატივებთან. მისცეს წინადადება საზოგ. „ალორძინების“ გამგეობას, რომ მან მხარი დაუჭიროს მოსამსახურეებს, მათი კომისიის მიერ გამომუშავებულ პროექტის თანახმათ.

ურთიერთ შორის დამხმარებელ კასის შესახებ წარმოდგენილ პროექტის დაწვრილებით განხილვის შემდეგ კრება ავალებს ამავე კომისიას, რომ მან დაუყოვნებლივ გადასცეს წესდება დასამტკიცებლათ. გააცნოს საზოგ. „ალორძინების“ გამგეობას წესდება და მისცეს წინადადება, რომ იგი შევიდეს ამ კასაში დაუყოვნებლივ, რითაც საშუალებას მისცემს ქ. თფილისის კოოპერატივებში მოსამსახურეებს ენერგიულათ იმოქმედონ.

ნ. ოთარაშვილი.

პროვინცია

მანგლისი. ათ თებერვალს ამხანაგმა ლ. ასათიანმა მიიღო ცნობა მანგლისიდან, რომ ადგილობრივი ბერძენთა პოლკის ჯარისკაცები სისტემატიურად ძარცვავენ პოლკის ქონებას და იპარებიან თავიანთ სოფლებშიო. ეს გარემოება იწვევს უკმაყოფილებას მანგლისის ირგვლივ მცხოვრებ ქართველებს და რუსებს შორის და მოსალოდნელია შეტაკებაო. ცნობების მიღებისთანავე წავიყვანეთ დელეგატები ბერძნების ნაციონალურ საბჭოს მხრივ საბჭოს თავმჯდომარე ნ. სპილიოტი, ჯარისკაცთა ცენტრის მხრივ რ. ჯიბლაძე და წავედით მანგლისში საქმის გამოსარკვევად და შესაფერისი ზომების მისაღებად. თერთმეტში კვირას მივედით მანგლისში. კრება დავნიშნეთ რ. ს. დ. მ. პ. კომიტეტში, სადაც მოვიწვიეთ ელინთა პოლკის უფროსი, ყველა როტების წარმომადგენლები—ჯარისკაცები, აფიცრები, და სოფლების ამორჩეული პირები. წარმომადგენლებს დავკითხეთ სათითაოდ საქმის გარემოების შესახებ. ადგილობრივი მცხოვრებლები ამტკიცებდენ, რომ ბერძნები მოდიან სოფლებიდან, იმოსებიან, იარაღდებიან და შემდეგ თავიანთ სოფლებში იპარებიანო. პოლკის წარმომადგენლები ამტკიცებდენ, რომ ამგვარი არაფერი არ ხდება და თუ ათასში ერთხელ ხდება, ეს უდისციპლინობის ბრალიაო. დიდი ხნის დაკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ბერძნები არამც თუ თითო ოროლა, არამედ როტებითაც კი იპარებიან სოფლებში. მოისმინა რა ჩვენმა დელეგაციამ წარმომადგენლების აზრი საჭიროდ სცნო დაეარსებია თავდაცვის კომიტეტი, რომელშიაც შედიან შვიდი კაცი პოლკის მხრივ სამი ბერძენი, რუსი და ქართველი, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის მხრივ ერთი, მუშების მხრივ ერთი და ორიც გლეხთა საბჭოების მხრივ. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ამხ. რიუბენი. შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ვილაპარაკეთ ყველა დელეგატებმა. ხალხიდან უკმაყოფილების ხმა ისმოდა: ერთნი გაიძახოდენ თქვენ საქმეს ჩვენ ვერ გაგვიკეთებთ მენშევიკები ხართო. მეორენი უსისინებდენ დავხოცოთ მაგენი მენშევიკებია ბურჟუების წარმომადგენლებიო, კაკაბაძე ათი თვეა გვპირდება ყველაფერს და ჯერ არც ერთი დაპირება არ მოუყვანია სისრულეშიო და სხვ. მაგრამ დასძლია შეგნებულებმა სიმრავლით და პროვოკატორების ხმა დარჩა უმნიშვნელოდ. როდესაც დაწყნარდა და დავაპირეთ წამოსვლა ამ დროს ერთი მილიციონერთაგანი გადაგვიდგა განზე და გამოგვიცხადა, რომ ის არ გაგვიშვებს სანამ წასულ თვის ჯამაგირს არ მივსცემთ. როდესაც ეს პროვოკატორებმა გაიგეს გაიძახოდენ: მაგ მენშევიკები სულ ასე ატყუებენ ხალხსო—თითონ იღებენ ათასობით, მოსამსახურეებს არ აძლევენო. ამით უნდოდათ ესარგებლნათ ბნელ ძალებს, მაგრამ დროზე შევაჩერეთ. წარმოიდგინეთ, ერთი თოფი რომ გავარდნილიყო დიდი უბედურება დატრიალდებოდა. ამის შემდეგ დელეგატებმა მოვილაპარაკეთ და გადავსწყვიტეთ დავრჩენილიყავით იმ ღამეს, რადგან ხალხი ძლიერ აღელვებული იყო. დავბინავდით შტაბში და მოვიწვიეთ თავდაცვის კომიტეტის წევრები. შესდგა კრება, რომელმაც დაადგინა აცნობოს ყველა როტებს, რომ ამიერიდან ისინი უნდა დაემორჩილონ თფ. კომ. ბრძანებას. კომიტეტის დადგენილებით აეკრძალათ სასტიკათ ჯარისკაცებს თავის ნებით შეიარაღებული ყაზარმებიდან გამოსვლა. საჭირო ადგილებში ჩავაყენეთ დარაჯები, შემდგარი ყველა ადგილობრივ ერებიდან. ჯერ კიდევ კრება არ გვქონდა გათავებული, რომ გაისმა სროლის ხმა. საქმის გამოსარკვევად წავიდა კომიტეტის თავმჯდომარე რიუბენი და ამხანაგი ჰელიძე. მათ მოგვიტანეს ამბავი, რომ ჯაშუშებს ბერძნებისთვის უთქვამთ: ქართველები გიპირებენ ამეღამ დაცემასო და ქართველებისთვის უთქვამთ, რომ ბერძნები ემზადებიან წასასვლელათო. ამიტომ ორივე მხარეს დაშინებულს აუტეხნიათ ჰაერში სროლა. იმ ღამეს ყველანი ვდარაჯობდით. არ გაივლიდა ათი წუთი, რომ ახალ-ახალი ამბები არ მოეტანათ, მაგრამ პროვოკატორებმა ვერა გააწყვეს რა, რადგან ჩვენ ორგანიზაციულათ ვმოქმედობდით. ღამემ მშვიდათ ჩაიარა. დილით გამოვსწიეთ თფილისისაკენ. დ. თონეთში (შვიდ ვერსზეა მანგლისიდან) შემოგვხვდა ხალხი. წარმომადგენლებმა ილაპარაკეს ხალხის გაჭირვებაზე და გვთხოვეს დახმარება. ჩვენ ხალხს მოვუსმინეთ და შესაფერისი პასუხი გავეცით. იმ დღეს ჩამოვედით თფილისში და საქმის ვითარების შესახებ მოხსენება გავუკეთეთ სამხედრო ინტერნაციონალურ საბჭოების თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს. ამხანაგმა ნოე რამიშვილმა ჩვენ მოგვანდო წინასწარი ზომების მიღება. ჩვენც აუცილებელ საჭიროთ ვსცანით დაგვენიშნა ამხანაგი რიუბენი პოლკის კომისრათ და ამავე დროს გაგვეგზავნა ბერძნების ნაციონალური საბჭო მთელი შემადგენლობით მანგლისში გამომძიებელთან ერთათ. გამომძიებლის დანიშნულება იყო გამოერკვია რაოდენობა იმ ქონებისა, რაც ჩაიბარა ელლინთა პოლკმა და აგრეთვე რამდენი არის ეხლა. დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ სანამ ელლინთა პოლკი იქნება მანგლისში, ადგილობრივ მცხოვრებლებს და მათ შორის სულ ექნება პროვოკაციას ადგილი. ამიტომ საჭიროა ქონების და იარაღის განაწილება მცხოვრებლებს (წითელგვარდიელებს) და პოლკს შორის და მერე პოლკის გადაყვანა წალკაში.

ვლ. კაკაბაძე.

აბასთუმანი. ბნელი ძალები ამოძრავდენ. ანარქია, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა ფართეთ ფეხს იკიდებს, ამ ორი კვირის წინად ბორჯომ-ახალციხეს შუა მოკლეს ქართველი აფიცერი ძიძიგური. ერთი კვირის წინად რამდენიმე ყაჩაღი დაეცა ახალციხის კომისარს, თუ არა გამოცდილი რაზმელი, მსხვერპლი გახდებოდა გამხეცებულ ადამიანების. ამ ორი დღის წინ ღამით გაძარცვეს აბასთუმანზე ოთხი ვერსის მოშორებით მოსახლე მალაკანი, მშრომელი ოჯახი, წაართვეს 1300 მ. და რაც რაიმე ებადა სახლში. 17 თებერვალს ღამით გავრცელდა ხმა, აბასთუმანში შეიარაღებული ბრბო აპირებს დაცემასო“. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, ქალაქის ორივე მხარე თათართა ჯარმა გაამაგრა. ქართველი ჯარი ქალაქის შუა გულს იცავდა. სასახლეს და სანატორიას გაძლიერებული ყარაულები ედგა. ცხენოსანი რაზმი ქუჩებში დადიოდა. დაიჭირეს რამდენიმე პირი, მათ შორის ოთხი გამოჩენილი ყაჩაღი.

აბასთუმან ბორჯომს შუა მგზავრობა სახიფათოა. გზა და გზა სოფლელები აჩერებენ მგზავრს და ჩხრეკენ. ერთმა მიამბო, რომელიც პოლიტიკურ სანატორიაში მიდიოდა ავტომობილით გზაში ოთხ-ხუთ ადგილას გაგვაჩერეს და გაგვჩხრიკესო. აბასთუმანში ხმები გაავრცელეს: ავათმყოფებს ბევრი ძვირფასი ნივთები მიაქვს სანატორიიდანო. და ამის გამო თითქმის ყველა მგზავრს შინჯავენ, ვინც სანატორიის ავტომობილით მიდის. მართლაც სასახლეში ბევრი ძვირფასი ნივთებია, რომელიც ჯერაც ხელუხლებელია და ყარაულები უდგას. თუ მალე ეს ნივთები არ იქნა იქიდან გატანილი მოსალოდნელია ნივთებმა იმსხვერპლოს როგორც სასახლე ისე სანატორიაც.

მაჰმადიანებსა და სომხებს შორის თითქო სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ არა მგონია დიდხანს გასტანოს, რადგან ორივე ბანაკი იარაღდება. ზოგი სოფლები (ქართველების და მაჰმადიანების) ერთი მეორეს მოწყვეტილია, საკმარისია ვინმემ ერთხელ გაისროლოს მთელი სოფლები ფეხზე გზას საომრად.

ქვაყუდელი.

საბურთალო. საბურთალო შეადგენს თფილისის განაპირა უბანს. აქ არ არის ტრამვაი გამოყვანილი, ქუჩები სალამოობით სიბნელითაა მოცული. ამიტომ მუშებს არ ეხერხებათ ქალაქში სიარული, რომ დაეწაფონ კულტურულ გასართობებს. ეს მით უმეტეს ძნელია, როცა ამ ქამათ ნაძირალებმა წამოყვეს თავი და მათი მეოხებით ქუჩაში გავლა შეუძლებელი გახდარა. ამიტომ საბურთალოს თეატრისა და სამკითხველოს გამგეობამ დაადგინა მიიღოს ყოველივე ზომები და რამდენიმეთ მაინც დააკმაყოფილოს ადგილობრივ მცხოვრებთა კულტურული მოთხოვნილებები. ამ მიზნით გამგეობა მოუწოდებს ყველა გულშემატკივართ ხელი შეუწყონ თეატრისა და სამკითხველოს კეთილ მდგომარეობის განმტკიცებას. გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს ნოე სიხარულიძეს, რომელმაც 500 მან. შემოსწირა კულტურულ საჭიროებისათვის.

გამგეობა.

სოფ. პაიჭისუბანი (გურია). ეს სოფელი მდებარეობს გურიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც 35 კომლი სცხოვრობს. მდებარეობა მთა-გორიანია. სოფელი პატარაა, კოხტა და ლამაზია. სამის მხრით შემოზღუდულია მთებით. ორის მხრით ჩაუდიან მთის მდინარენი: სამხრეთით მდ. შაშვალა და ჩრდილოეთით მდ. გუბაზოული. ამ სოფლის შუაგულში არის აგარაკ ბახმაროზე წასასვლელი გზა. აქ არსებობს ერთ კომპლექტიანი სამინისტრო სკოლა. არსებობს ახლათ გახსნილი ნოე ჟორდანიას სახელობის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. 25 იანვარს შესდგა ამ სოფლის მცხოვრებთა მასსიური კრება, სადაც ერთდროული დახმარების სახით არსებული სამკითხველოს სასარგებლოთ შეგროვილ იქნა 360 მან. სამკითხველოს გამგეობამ დაგზავნა ქალაქებში მოწოდებები დახმარებისათვის. ადგილობრივი მცხოვრებნი ყოველ საღამოობით იკრიბებიან ხოლმე სკოლის დარბაზში, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, არკვევენ მიმდინარე მომენტის შესახებ კითხვებს, ეწევიან კამათს და სხვ.

აქ არსებობს აგრეთვე ახალგაზრდა მარქსისტთა წრე, რომელიც კვირაში ერთხელ მართავს მეცადინეობას. განზრახულია მოაწყონ ამ ახლო ხანში კოოპერატიული დუქანი. ეხლა ჩვენში თოვლი სძევს, დადნება თუ არა, სოფელი მიადგება გზების შეკეთება-გაფართოებას, გეგმა უკვე შედგენილი აქვთ.

ბულარა ლომთათიძე.

ღია წერილი

მოქალაქე მიხა ჩრიგოლიას!

წარსული წლის ოქტომბერში თქვენ წაიღეთ შეწირულების ორი ფურცელი თავრიზის გარნიზონის ქ. მხ. კ.-გ. წრიდან ფულის შესაგროვებლათ. მას შემდეგ გადის აგერ ხუთი თვე. არც ფულს აბრუნებთ და არც სიებს. ორი თვის უკან სიტყვიერათ განაცხადეთ, რომ სამასი მანეთი ერთი სიით შეგროვილი გაქვ, მეორეთი კი არ შევისრულებიათ. აღმითქვით მაშინ, რომ ადრე დააბრუნებდით. მაგრამ არაფერი სჩანს. გთხოვთ ოცი დღის ვადაში დააბრუნოთ სიებიც და ფულებიც შემდეგი მისამართით: ст. Ланчхуты, с. Ацана, Рафаелу Чхаидзе.

წრის თავმჯდომარე რაფიელ ჩხაიძე.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი ალექსანდრე ამბაკოს ძე ტოროტაძე მსახურებდა კიმრი-ხელოში რკინის გზის პარკში, მეშვიდე თვეა მშობლებმა არ იციან სად იმყოფება. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ამ მისამართით: თფილისი, ფარკოპელის ქ. სახლი № 30, თადეოზ ბურჭულაძეს.

— ჯარისკაცი ილიკო ლომიძე მსახურებდა 1 კავკასიის მოსაზღვრე ქვეითა საშტაბო დივიზიაში. 4 თვეა მისგან ცნობა არ მიგვიღია. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Ст. Сумбатово; Тифл. губ. Николаю Абрамашвили, для Софіи Ломинадзе.

— ჯარისკაცი პოლიკარპე გეგეშიძე მსახურებდა კავკასიის ფრონტზე მე-35 თურქესტანის მსროლელთა პოლკის მეშვიდე როტაში, მესამე ვზვოდში, თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, ვსთხოვთ შეგვატყობინონ მის მშობლებს ამ მისამართით: Багдади, Кут. губ., инспектору Багдадскаго высшаго нач. училища А. Гегешидзе.

— ჯარისკაცი სარდიონ კონსტანტინეს ძე ჯიბლაძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში, ერობათა კავშირის მეშვიდე კავკასიის საექიმო რაზმში. ერთი წელიწადია მისგან ცნობა არ მიგვიღია, ვთხოვთ ვინც რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Батумъ, депо З. К. В. Ж. Д. Меликѣ Чаликова.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

გ. გ. მეჰრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57: აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

გ. დონხინი

უოფილ იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი პ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი პ. ი. ფარჯანაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი

დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი ქალი

რ. ბ. შიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

უოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხ. და თანამგრძნობთ მხთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

განცხადება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ყოფილ სამხედრო მიმოსვლის სამმართველოსთან არსებული საქონლის გადამზიდველ ბიუროს მაგიერ 1918 წ. 15 თებერვლიდან ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან დაარსებულ იქმნა

„ამიერ-კავკასიის საქონლის გადამზიდველი ბიურო“.

ბიურო დაარსებულია როსტოვის სარაიონო კომიტეტის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულ იქმნა ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან. ბიუროს დანიშნულებას შეადგენს სამხედრო უწყებისაგან განთავისუფლებულ გადამზიდავ საშვალებათა მოწესრიგება ამიერ-კავკასიის კახეთის დ თავრიზის რკინის გზებზე და ამ რიგად საქონლის გადაზიდვ—გადმოზიდვის საქმის მოწყობა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროების მიხედვით.

„ამიერ-კავკასიის საქონლის გადამზდველ“ ბიუროში შედიან წარმომადგენლები შემდეგი დაწესებულებებიდან: ამიერ-კავკასიის, კახეთის და თავრიზის რკინის გზებიდან; მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საოლქო საბჭოდან, ქალაქებისა და ერობათა თვითმართველობებიდან, როსტოვის სარაიონო კომიტეტიდან, სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროდან, მიწათ-მოქმედების სამინისტროდან, საფინანსო სამინისტროდან, სასურსათო კომისარიატიდან, საქარხნო საბჭოდან, სათბობ მასალათა განსაკუთრებულ საბჭოდან და ამიერ კავკასიის რკინის გზათა ცენტრალურ კომიტეტიდან.

ყველა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქონლის გადაზიდვის საქმით,—უნდა მიმართონ „ამიერ-კავკასიის საქონლის გადამზიდველ ბიუროს“.

მისამართი: თფილისი, ელისაბედის ქ. სახლი № 176, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს პირდაპირ.

დამზადებულია კოლექციებათ ახალი ნაცადი საბოსტნე თესლები

1-ლი კოლექცია,—ამიერ-კავკასიის მთა-გორიან ადგილებში გამოსადეგი, შემდგარი ოცი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან, ღირს—120 მანეთი.

2-რე კოლექცია—დაბალ ადგილებისათვის, ოცდაექვსი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან შემდგარი ღირს—160 მანეთი.

კოლექცია მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით. კოოპერატივებს და დაწესებულებებს თესლი გაეგზავნებათ მთელი ფასის 75 პროც. მიღების შემდეგ. დანარჩენი კი ფასდადებით, კერძო პირებს კი 20 პროც. უფრო ძვირად და მთელი ფასის მიღების შემდეგ.

დაკვეთა მიიღება 1 მარტამდე, დაკვეთილი თესლები დაეგზავნებათ მსურველთ რიგ-რიგობით.

დაკვეთა და ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бебутовская № 6 контора „Земля и Трудъ“, агроному А. А. Атанасіану. (5—4).

ვაგზლის კერძო სამკურნალო.

შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე

იღებენ ექიმები-სპეციალისტები:

ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაზაგიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.

რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

[illegible] ტფილისი, [illegible] პროსპ., № 1.